კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2012-2013 სასწავლო წელი № 4(7)



გვ. 2-3 ახალი ამბები

გვ. 4–9 საერთაშორისო თანამშრომლობა

გვ. 10 მარიამ ჯიქია: „ეს წიგნი იქნება ბირველი სახელმძღვანელო ევროპის სავალდასახადო სამართალში ქართულ ენაზე"

გვ. 11 "კსუ-ს წლის მოსწავლე–2013"

გვ. 12 კსუ-ს კულტურის განყოფილება საინტერესო წელს გვპირდება

გვ. 12 კსუ მარათონის ბრიზეორია

კსუ-ს დელეგაცია აზერბაიჯანში

2013 წლის 2-3 მაისს აზერბაიჯანის ოდლარ იურდუს უნივერსიტეტში ნაციონალური ლიდერის – ჰეიდარ ალიევის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის მუშაობაში, სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სკოლების სტუდენტებთან ერთად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა კსუ-ს



ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნ. ჭალაგანიძე, რომელმაც კავკასიის ერთობლივი აკადემიური სივრცის საჭიროებაზე ისაუბრა. სოციალურ მეცნიერებათა სექციაზე კი პრეზენტაციები წარმოადგინეს კსუ-ს სტუდენტებმა; ხვიჩა კონცელიძემ და სალომე ჩავლეიშვილმა.

დასასრულს, მომავალი თანამშრომლობა, ერთობლივი სტუდენტური პროექტები და აკადემიური პესონალის სამუშაო შეხვედრები დაიგეგმა.

ხელშეკრულება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სასტუმრო-სანატორიუმ „ბორჯომი პალასი“ -ს შორის










კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სასტუმრო-სანატორიუმ „ბორჯომი პალასი“ -ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. სასტუმრო-სანატორიუმი „ბორჯომი პალასი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კსუ-ს ტურიზმის პროგრამის სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა მის სამუშაო ადგილზე, რითაც ხელს შეუწყობს სტუდენტების შემოქმედებით აზროვნებას, კონკრეტული სიტუაციების სიმულაციების შექმნას, სამუშაო სპეციფიკაში გარკვევასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ათვისებას.

ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები სასტუმრო-სანატორიუმ „ბორჯომი პალასი„-ში სასწავლო პრაქტიკას ორ ნაკადად, ივლისისა და აგვისტოს თვეში გაივლიან.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დარგის სპეციალისტებმა, სასტუმროს აღმასრულებელმა დირექტორმა, შალვა ალავერდაშვილმა და გენერალურმა მენეჯერმა გიორგი პაპიაშვილმა ლექცია ჩაუტარეს. რაც სტუდენტებისათვის ძალიან საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. მათ მაღალი დონის პროფესიონალებისაგან პრაქტიკაში გამოსადეგი ინფორმაცია მიიღეს, რაც პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლასაც უზრუნველყოფს.

ოთარ ხაჭაპურიძის გამარჯვება



21 მაისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უნივერსიადა 2013 -ის ფარგლებში გაიმართა შეჯიბრი მძლეოსნობაში.

კსუ-ს სახელით სიგრძეზე ხტომაში შეჯიბრზე ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ოთარ ხაჭაპურიძე გამოვიდა, მან პირველი ადგილი მოიპოვა და გამარჯვებული გახდა. ვულოცავთ ოთარს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს!

„სტუდენტური დღეები - 2013„-ის დახურვა



24 მაისს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა „სტუდენტური დღეები - 2013 (ნარკომანიის წინააღმდეგ)“-ის დახურვის საზეიმო ცერემონიალი. დამსწრეთა წინაშე ყველა გამარჯვებული მონაწილე წარ-



სდგა, კონცერტი თიკა ირემაშვილმა დახურა, რომელმაც კიდევ ერთხელ გააოცა მაყურებელი თავისი ვოკალური მონაცემებით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ორ ნომინაციაში გაიმარჯვა: ნომინაცია – ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი და თანამედროვე სიმღერის საუკეთესო სოლოშემსრულებელი. ხსენებულ ნომინაციაში, როგორც უკვე აღვნიშეთ, თიკა ირემაშვილმა გაიმარჯვა.

კონფერენცია „საბჭოთა ანაბრები და სახელმწიფოს შიდა ვალი“

2013 წლის 24 მაისს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ გამართა კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა ანაბრები და სახელმწიფოს შიდა ვალი“. კონფერენცია „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გაიმართა.



კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკის ექსპერტებმა, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების 40-მდე წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თამარ ქობლიანიძე, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, სრული პროფესორი ჯემალ სოლოღაშვილი, სრული პროფესორი ნინო მიქიაშვილი, მაგისტრატურის სტუდენტი შოთა გულბანი.



მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიაში, ბატონმა ჯემალ სოლოღაშვილმა ორიგინალური იდეაც მიაწოდა მონაწილეებს საბჭოთა ანაბრების ვალის დაფარვასთან მიმართებით.

დისკუსიამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

კონფერენცია სხვადასხვა მედიასაშუალებებმა გააშუქეს.

ინტეგრირების სწავლების ვორკშოპი

ბაკურიანში 24-28 მაისს ტირის უნივერსიტეტმა პარტნიორი უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენელთათვის კურიკულუმის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ვორკშოპი გამართა, რომელშიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი თამარ ქობლიანიძე მონაწილეობდა.

ვორკშოპის ძირითადი მიზანი იყო თითოეულ წევრს ინტეგრირების საკითხებზე ერთსემესტრიანი, სტუდენტზე ორიენტირებული, თითოეული უნივერსიტეტის სტრუქტურას მორგებული, სასწავლო კურსის შემუშავებაში დაეხმარებოდა, რომლის სწავლებაც 2013-2014 სასწავლო წლიდან იქნება შესაძლებელი.

ხსენებული კურსი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებს დაეხმარება კორუფციის პრობლემის უკეთ გააზრებაში და განუმარტავს მათ მრავალი არსებული ანტიკორუფციული მეთოდის არაეფექტურობას. ასევე ხელს შეუწყობს მათს ორგანიზებასა და საზოგადოებაში ინტეგრირების უნარის განვითარებას.

შეხვედრა ვახტანგ ყოლბაიასთან



1 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიაში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა სტუდენტებს, პროფესორებსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას შორის.

სტუდენტების შეკითხვებს ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ ამომწურავი პასუხები გასცა და შეხვედრაც ნაყოფიერად წარიმართა. სტუმარმა განიხილა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესაძლო პერსპექტივები, უნივერსიტეტთა თანამეგობრობის როლი სიტუაციის განსამუხტად, თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, სახალხო და სამოქალაქო დიპლომატიის მნიშვნელობა და სხვა მრავალი საკითხი.

დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად აღნიშნა, რომ სიტუაციის დასარეგულირებლად და ორმხრივი მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელია სტუდენტების აქტიური ჩართვა ამ პროცესში, რაც ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების, ახალგაზრდების ურთიერთობის განახლებისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივებს დაუსახავს.

ბატონი ვახტანგის თქმით, პრობლემის მოგვარება ასევე ვერ მოხერხდება, თუ არ იქნება გათვალისწინებული თითოეული ადამიანის ინტერესი თუ მოთხოვნა. მისი თქმით,

აღსანიშნავია ასევე სახალხო დიპლომატიის როლი, რაც გამოიწვევს პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას და, საბოლოოდ, დადებით შედეგებამდე მიგვიყვანს. შეხვედრის დასასრულს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, ბატონმა ვახტანგ წივწივაძემ უნივერსიტეტის საპატიო სტუმარს, მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად, ვახტანგ გორგასლის ხატი გადასცა საჩუქრად.



ისაუბრეს ასევე აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად დაგეგმილ სამომავლო ღონისძიებებზე, რაც უახლოეს მომავალში მათ შორის მემორანდუმის გაფორმების წინაპირობაც იქნება.

კსუ-ს რაგბის გუნდი



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკვე ჰყავს რაგბის გუნდი, რომელიც გულშემატკივრის წინაშე სკუ-ს სახელით წარსდგება. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მათთვის ფორმები დაამზადებინა, რომელიც უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა კახაბერ კორძაიამ საზეიმო ვითარებაში გადასცა გუნდის წევრებს და წარმატებები უსურვა.

დასუფთავების აქცია



2 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის, ტურიზმის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებმა, ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატის ინიციატივით, დაასუფთავეს არმაზის ციხის ტურისტული ბილიკი. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც 5 ივნისს აღინიშნება, უნივერსიტეტი სწორედ ამ ღონისძიებით გამოეხმაურა.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე, მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდეგი მარშრუტით: მცხეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, სვეტიცხოველი და სამთავროს დედათა მონასტერი.

ღონისძიებაში ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თამარ ქობლიანიძე და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ჯემალ სოლოღაშვილიც მონაწილეობდნენ.

სტუდენტებმა გადაწყვიტეს ეკოკლუბის ჩამოყალიბება, რომელიც მსგავს ღონისძიებებს მომავალში უფრო მასშტაბურ ხასიათს მისცემს, რაც გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრებას შეუწყობს ხელს და პრაქტიკული სარგებლის მოტანაც შეუძლია.

შეხვედრა ნინო ბურჯანაძესთან



2013 წლის 5 ივნისს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში (ოთახი 305) გაიმართა საჯარო შეხვედრა დემოკრატიული მოძრაობა - „ერთიანი საქართველო„-ს ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან.

შეხვედრას დაესწრნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის, ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.



საჯარო ლექცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა კახაბერ კორძაიამ გახსნა.

ქალბატონმა ნინომ საერთაშორისო სამართლის საკითხებზე, ქვეყნის განვითარებაში ახალგაზრდობის როლზე, კონფლიქტების მოგვარების მისეულ ხედვასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე ისაუბრა.

შეხვედრის ბოლოს დამსწრე საზოგადოებას მისთვის საინტერესო კითხვების დასმის საშუალება მიეცა.

შეხვედრა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან



5 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ლიკა კალმახელიძეს უმასპინძლა. შეხვედრას კსუ-ს ბიზნესის ფაკულტეტის, ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები ესწრებოდნენ.

სხდომის მიმდინარეობისას ტურიზმის განვითარების პერსპექტივები განიხილეს. განსაკუთრებული აქცენტი ეკოლოგიის პრობლემებზე გაკეთდა, იმდენად, რამდენადაც ამ ორ სფეროს უამრავი შეხების წერტილი აქვს. ისაუბრეს ტურისტული ბილიკების მოწყობის საკითხზე და ასე შემდეგ.

შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების სურვილიც გამოთქვეს.

შეხვედრა „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმერ ხომერიკთან

7 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიაში შედგა შეხვედრა „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის" ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმერ ხომერიკთან.

შეხვედრას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა გედევანიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე, ღონისძიების ორგანიზატორი, კსუ-ს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე რუსეცკი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ბატონმა ვლადიმერმა რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებზე, პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე ისაუბრა. აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: ახალგაზრდა იუნიონისტთა ასოციაციის წევრები და მოსკოვში დიპლომატიურ თამაშზე მიწვეული სტუდენტები. მათ მიიღეს საინტერესო რჩევები და რეკომენდაციები.

ბატონმა ვლადიმერმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და სტუდენტებს წარმატებები უსურვა.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტთა ღია გამოცდა

2013 წლის 22 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტუდენტების ღია გამოცდა. სტუდენტებმა წარმოადგინეს ნაშრომები მათ მიერ შესწავლილ დისციპლინებში: პოლიტიკური კონფლიქტის მართვა და გადაწყვეტა და რელიგიური კონფლიქტები.

გამოცდას ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის რექტორი კახაბერ კორძაია, დირექტორი ვახტანგ წივწივაძე, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი თამარ ინასარიძე, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი თამარ კიკნაძე და ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე რუსეცკი.

სტუდენტებმა დამსწრე საზოგადოების წინაშე წარადგინეს პრეზენტაციები, რის შემდეგაც თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. მათმა გამოსვლამ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

დარგის სპეციალისტის ლექცია სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“



3 - 8 ივნისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ ჩატარდა დარგის სპეციალისტის სამი ლექცია, რომელსაც ესწრებოდნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები. ლექციები ჩაატარეს სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ აღმასრულებელმა დირექტორმა – ვალერი ჩეხერიამ, HR- მენეჯერმა ნინო ბართაიამ და კვებისა და სასმელების დეპარტამენტის მენეჯერმა გიორგი მინდიაშვილმა.

სამუშაო შეხვედრა ტელედოკუმენტალისტთა საზაფხულო სკოლის მონაწილეებთან

26 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ტელედოკუმენტალისტთა საზაფხულო სკოლის წევრებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მოდერატორი იყო ტელედოკუმენტალისტი დავით ძიძიშვილი.

პროექტში მონაწილე სტუდენტები დოკუმენტური ფილმის მომზადების თავისებურებებს, ხმოვანი ჯერისა და ვიზუალური მასალის დამუშავების პრინციპებს გაეცნენ.

ვორკშოპის ფარგლებში დაიხვეწა ის სცენარები, რომლის მიხედვითაც საზაფხულო სკოლის მონაწილეები სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების შექმნას გეგმავენ.

კსუ-ს სტუდენტებმა გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები მშვიდობიან მსვლელობას შეუერთდნენ. მათ გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი და სამშობლოს დასაცავად დაცემული ვაჟკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია
CONFERENCE DEDICATED TO MEMORY OF HEYDAR ALIYEV
КОНФЕРЕНЦИЯ, ПОСВЯЩЕННАЯ ПАМЯТИ ГЕЙДАРА АЛИЕВА



9 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა.

ღონისძიება საქართველო-აზერბაიჯანის კონგრესისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

კონფერენციის მონაწილეებმა ჰეიდარ ალიევის ღვაწლსა და მის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მომხსენებელთა შორის იყვნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი ვახტანგ წივწივაძე; ამავე უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი კახაბერ კორძაია; საქართველოსა და აზერბაიჯანის კონგრესის ხელმძღვანელი ალი ბაბაევი; ისტორიკოსი, პროფესორი გურამ მარხულია; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე რუსეცკი და სხვები.

კონფერენციას როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი სტუდენტები ესწრებოდნენ.

დასასრულ, ქართველი რეჟისორის, დავით აბდალაძის ფილმის – „ალიევი და საქართველო“ ჩვენება გაიმართა, რომელშიც ძირითადი აქცენტი საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე კეთდებოდა.


ალი ბაბაევის განცხადებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველო-აზერბაიჯანის ეროვნული კონგრესის მიერ ერთობლივად ჩატარებული კონფერენცია, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტს მიეძღვნა, ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ახალგაზრდებმა მეტი გაიგეს ამ პოლიტიკური ფიგურის შესახებ, „ეს იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი“, - აღნიშნა ალი ბაბაევმა.

„ჩვენი უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია კავკასიური თანამშრომლობა. ამ ტიპის თანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაა. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ, თუ ვინ იყო ჰეიდარ ალიევი.

ის არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, არამედ მას ბევრი სხვა სოციალური როლიც ჰქონდა. ის მხოლოდ აზერბაიჯანის ლიდერი არ იყო, არამედ კავკასიის ერთ-ერთი ლიდერი და საერთაშორისო რანგის პოლიტიკოსი“, – განაცხადა ალექსანდრე რუსეცკიმ.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტის გიორგი დავიდოვის თქმით, ეს დღე მნიშვნელოვანი ბევრი თვალსაზრისით იყო – „9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, რომელსაც ევროპის დღედაც აღნიშნავენ.





ჩვენმა უნივერსიტეტმა ჰეიდარ ალიევის 90 წლის იუბილე აღნიშნა. ჩვენთან აზებაიჯანელი სტუდენტები სწავლობენ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სწავლის პროცესში. ამიტომ ამგვარი აქტივობები, ორმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ ვამართლებთ სახელს – ეს სასწავლო დაწესებულება მართლაც კავკასიური მნიშვნელობის უნივერსიტეტია“, - აღნიშნა გიორგი დავიდოვმა.

***

At the closing ceremony they demonstrated a film “Aliyev and Georgia” directed by Davit Abdaladze. The film made emphasis on Georgia-Azerbaijan relations. Ali Babaev admitted that the joint conference dedicated to the president of Azerbaijan and organized by Caucasus International University and Georgia-Azerbaijan Congress was of great significance. Consequently, young generation learnt more about this outstanding political figure, “He was an individual who loved Georgia and Georgian people”, - Ali Babaeva said. “Caucasian cooperation is of great importance for our University. Georgia-Azerbaijan relations serve as a key element in such type of collaboration. It is crucial that students realize who Heiydar Aliyev was. He was not merely a political figure but had acquired a number of social roles. He was not only a leader of Azerbaijan, but one of the leaders of Caucasus and politician of international level” – stated Aleksandre Rusetski. According to Giorgi Davidov, student of the faculty of international affairs of Caucasus International University, this day was significant from different standpoints. “9 May is a day of victory over Fascism, which is also celebrated as a Europe Day. Our university celebrated the 90th anniversary of Heydar Aliyev. Currently, a number of Azerbaijanian students study at our university and they are actively engaged in studying process. Therefore, I consider such activities crucial from the standpoint of mutual collaboration. It is also noteworthy that we meet up to the expectations concerning the name of the institution – it is really a university of Caucasian significance – admitted Giorgi Davidof.

***

В работе конференции приняли участие студенты из Грузии и Азербайджана. В заключительной части был показан фильм грузинского режиссера Давида Абдаладзе – «Алиев и Грузия». Основной акцент в фильме был сделан на грузино-азербайджанских отношениях. По заявлению Али Бабаева, конференция, посвященная Президенту Азербайджана и организованная совместными усилиями Кавказского международного университета и национального Конгресса Грузии и Азербайджана, является важным событием. Молодежь больше узнала о Гейдаре Алиеве как политическом деятеле. «Это был человек, который очень любил Грузию и грузинский народ», - отметил Али Бабаев. «Для нашего университета важно развитие кавказского сотрудничества. Важнейшим элементом этого сотрудничества являются взаимоотношения Грузии и Азербайджана. Очень важно, чтобы студенты знали, кем был Гейдар Алиев. Он был не только политическим деятелем, у него было множество других социальных ролей. Он как азербайджанским лидером, так и одним из кавказских лидеров, а также политиком международного ранга», - заявил Александр Русецкий. По мнению Гиоргия Давидова, студента специальности «Международные отношения» Кавказского международного университета, этот день был важен во многих отношениях. «9 мая – день победы над фашизмом, в этот день также отмечают День Европы». Наш университет отметил 90-летний юбилей Гейдара Алиева. У нас учатся студенты из Азербайджана, которые активно вовлечены в образовательный процесс. Поэтому подобного типа активности, с точки зрения двусторонних отношений, для меня представляются очень важными. Важно отметить и тот факт, что проведением подобного мероприятия мы подчеркиваем - это учебное заведение действительно является университетом кавказского значения», - отметил Гиоргий Давидов.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი – MEU-ს მთავარი პარტნიორი და მასპინძელი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY - MAIN PARTNER AND HOST OF MEU
КАВКАЗСКИЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ УНИВЕРСИТЕТ ГЛАВНЫЙ ПАРТНЕР И ПРИНИМАЮЩАЯ СТОРОНА MEU

10-11 მაისს, ევროკავშირის დღესთან დაკავშირებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა საკომიტეტო სესიებს უმასპინძლა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაცია YES Georgia-ს ორგანიზებით ჩატარდა.

ამ ფორმატისა და მსგავსი მასშტაბის ღონისძიება საქართველოში პირველად ჩატარდა. პროექტში საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეები და აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მონაწილეობდნენ, სულ 254 დელეგატი, აქედან 8 მონაწილე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს წარმოადგენდა (სამართლის ფაკულტეტი).

დელეგატები სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში გადანაწილდნენ და აქტუალურ თემებზე იმსჯელეს. სიმულაცია 9 კომიტეტში ევროკავშირის საბჭოსა (the Council of European Union) და ევროპული საბჭოს (European Council) ფორმატით მიმდინარეობდა. საკომიტეტო მუშაობის ფარგლებში დელეგატებმა 9 განსხვავებული პრობლემა განიხილეს და მათი გადაწყვეტის გეგმა შეიმუშავეს, რომელიც 12 მაისს გენერალურ ასამბლეაზე Courtyard Marriott-ში წარადგინეს.

3 დღიანი სწავლების უნიკალური პროცესი, რომელიც ფოკუსირებული იყო ევროკავშირის ინსტიტუტების დინამიკაზე, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. საგანმანათლებლო პროექტმა მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა განევითარებინათ უნარები ევროკავშირის საკითხებთან დაკავშირებული დებატებისა და მოლაპარაკებების ეფექტურად გამართვის თვალსაზრისით, ასევე გაეზიარებინათ ევროკავშირის პრაქტიკაში არსებული სირთულეები.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, როგორც ორგანიზატორი, განსაკუთრებით გამოირჩა – ყველა პირობა შეუქმნა მონაწილეებს, რომ მათი საქმიანობა კომფორტულ გარემოში წარმართულიყო და სტუმრებს სრულფასოვანი საკომიტეტო მუშაობისთვის ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონოდათ.

ღონისძიება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, ცხარე დებატებიც გაიმართა, სადაც მხარეებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები წარმოადგინეს.

პროექტმა ახალგაზრდა, მოტივირებული ევროპელები გააერთიანა, რამაც მათ შესანიშნავი შესაძლებლობა

მისცა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ცოდნის დონე აემაღლებინათ. ასევე – სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკის, გარემოსდაცვითი თუ სხვა საკითხების შესახებაც.

პროექტის დასკვნითი ნაწილი კი გაიმართა სასტუმრო Courtyard Marriott–ში, ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, „საინფორმაციო ცენტრი NATO-სა და ევროკავშირის შესახებ“, „ევროპული ცენტრი“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, როგორც გენერალური პარტნიორი, სნო, რადარამი, ბოულინგ ცენტრალის წარმომადგენლები.

დასკვნით ნაწილში გამოვლინდნენ გამარჯვებულნი, ერთ-ერთი გამარჯვებული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ ჭანტურია გახდა. ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატები და პრიზები.

ბოლოს, დამსწრეებს უჩვენეს პროექტის ამსახველი, საკმაოდ შთამბეჭდავი ვიდეორგოლი, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კუთვნილ ტელე და რადიოსტუდიებში დამზადდა.



***

On May 10-11, 2013 Caucasus International University hosted committee sessions dedicated to Europe Day which was organized by non-governmental organization “YES Georgia”. For the first time in its history, Georgia organized an event of such format and scale. The students of public and private high schools and accredited higher educational institutions were engaged in the project. The total number of delegates attending the event was 254 out of which 8 participants represented Caucasus International University (Faculty of Law). Delegates were divided into different working groups and they were discussing current issues that are of great interest. Simulations being conducted in nine committees followed the format of The Council of European Union and European Council. The delegates discussed nine different issues and worked out a solution plan, which was presented on May 12 at the General Assembly, Courtyard Marriot.

A unique, three-day teaching process, focusing on the dynamics of EU institutes, turned out to be of great success. The given educational project enabled participants to develop skills necessary for holding debates and negotiations affectively on the issues of European Union. In addition, they had a chance to realize the challenges facing European Union. Caucasus International University, as an organizer, created all the necessary conditions for the participants in order to work effectively in a comfortable environment and guests were provided by required material-technical equipment thus serving as a guaranteeing for the smooth operation of the committee. The event proved to be very interesting. Heated debates took place, where each opponent part presented quite important arguments. The project engaged young, motivated Europeans and enabled them to raise their level of knowledge in relation to the above mentioned issues. In addition, they learnt more about law, international relations, political sciences, economics, environment protection, etc. Closing ceremony of the project was held at Courtyard Marriot, which was attended by: representatives of the Office of Georgian State Ministry on European and Euro-Atlantic Integration, “Information Centre on NATO and EU”, “European Centre”, a general partner - Caucasus International University, SNO, Radarami and representatives of Bowling Central. Winners were named at the closing ceremony. One of the winners was Mariam Chanturia, a student of Caucasus International University, faculty of Law. Each participant was awarded by certificate and special prize. The audience was shown an impressive video footage, depicting the working process of the project. It was created in TV and radio studios of Caucasus International University.

***

10-11 мая этого года, по случаю Дня Европы, на базе Кавказского международного университета состоялись сессии комитетов, организованные неправительственной организацией YES Georgia. Мероприятие подобного формата и масштаба впервые было проведено в Грузии. В проекте приняли участие ученики старших классов публичных и частных школ, а также студенты аккредитованных высших учебных заведений Грузии, в общей сложности 254 делегата, из них 8 участников представляли Кавказский международный университет (факультет права).

Делегаты распределились по различным рабочим группам, в рамках которых были обсуждены актуальные вопросы. Симуляция проводилась в 9 комитетах в формате Совета Европейского союза (the Council of European Union) и Европейского Совета (European Council). В процессе работы в комитетах, делегаты рассмотрели 9 различных проблем, а также разработали план их решения, который был представлен на Генеральной Ассамблее в Courtyard Marriott. Уникальный 3-х дневный процесс обучения, сфокусированный на динамике институтов Евросоюза, оказался весьма успешным. Образовательный проект дал возможность участникам развить навыки эффективного ведения дебатов и переговоров по вопросам, связанным с тематикой Европейского союза, а также осознать сложности, существующие в практике Европейского союза. Кавказский международный университет, как организатор, сделал все возможное для успешного проведения симуляций. Для участников были созданы все условия, чтобы их работа проходила в комфортной обстановке. В распоряжении у гостей было все необходимое материально-техническое оборудование для полноценной работы комитетов. Мероприятие было очень интересным, состоялись острые дебаты, в ходе которых стороны представили веские аргументы. Проект объединил молодых, мотивированных европейцев, что дало им хорошую возможность повысить уровень знаний по вышеуказанным вопросам, а также по таким темам как право, международные отношения, политология, экономика, защита окружающей среды и т.д.. Заключительная часть проекта состоялась в гостинице Courtyard Marriott. В ней приняли участие: представители аппарата Государственного министра Грузии по вопросам интеграции в европейские и евроатлантические структуры, «Информационный центр НАТО и ЕС», «Европейский центр», Кавказский международный университет, как генеральный партнер, представители бизнес-структур Сно, Радарм, Боулинг-централ. На заключительном этапе мероприятия были выявлены победители. Одним из них стала Мариам Чантурия, студентка факультета права Кавказского международного университета. Всем участникам были вручены сертификаты и призы. Затем был показан впечатляющий видеоролик о ходе осуществления проекта, подготовленный в телерадио студии Кавказского международного университета.



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, თამთა რატიანი - გაეროს მოდელირების მეთოთხმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე

ASSISTANT-PROFESSOR OF CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY SPECIALIZING IN INTERNATIONAL LAW, TAMTA RATIANI ATTENDS THE 14TH INTERNATIONAL CONFERENCE ON UN MODELING XIV МЕЖДУНАРОДНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ ПО МОДЕЛИРОВАНИЮ ООН



2013 წლის 16-18 მაისს, ნიუ-იორკის გაეროს სათავო ოფისში, გაეროს ამერიკის შეერთებული შტატების ასოციაციისა და გაეროს სწავლების პროგრამის ეგიდით, გაეროს მოდელირების მეთოთხმეტე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენს გაეროს სხდომის სიმულაციას, რომლის მიზანია გამორჩეულ ახალგაზრდებს ჩამოუყალიბოს რთულ პრობლემებთან გამკლავებისა და მათი რაციონალურად გადაჭრის უნარ-ჩვევები.

2013 წლის კონფერენციამ მსოფლიოში დღეს არსებული, სხვადასხვა მწვავე საერთაშორისო თემების განსახილველად ერთად შეკრიბა სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან.

კონფერენციას დამკვირვებლის სტატუსით საქართველოდან ორი წარმომადგენელი ესწრებოდა. ერთ-ერთი მათგანი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, თამთა რატიანი იყო.

კონფერენციის მონაწილეებს ტრენინგები და ინტენსიური კონსულტაციები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მათ ექნებათ მსგავსი სახის სიმულაციების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები, რითაც მათ უფლება მოიპოვეს გახდნენ გაეროს მოდელირების ტრენერები საქართველოში.

***

The 14th Annual Global Classrooms International High School Model UN Conference (GCIMUN), under the auspices of United Nations Association of the United States of America and UN Classrooms Program, was held on May 1618, 2013 at UN Headquarter. GCIMUN is an unparalleled, authentic simulation of the United Nations assembly in a world class setting offering selected students a chance to develop skills necessary for dealing with problematic situations and finding reasonable solutions.



The 2013 conference brought together students and academic staff from around the world to discuss diverse and pressing international issues. Two representatives from Georgia attended the conference as observers. One of them was assistant-professor of Caucasus International University, Tamta Ratiani specializing in international law. Intensive trainings and consultations were organized for conference participants, which will enable them to conduct similar simulations successfully in Georgia as well.

Conference participants were awarded certificates thus granting them right to become trainers of UN Modeling in Georgia.

***

16-18 мая 2013 года в штаб-квартире ООН в Нью-Йорке, под эгидой Ассоциации ООН Соединенных Штатов Америки и Образовательной программы ООН, прошла четырнадцатая международная конференция моделирования ООН. Международная конференция моделирования ООН представляет собой симуляцию заседания ООН, целью которой является формирование у участвующих молодых людей навыков преодоления трудных проблем и формирования рациональных путей их решения. В 2013 году для рассмотрения различных острых международных проблем, стоящих перед мировым сообществом на конференции собрались студенты и профессорско-преподавательский состав из более чем 20 стран.

В статусе наблюдателей в конференции приняли участие два представителя Грузии. Одной из них была представитель Кавказского международного университета ассистент-профессор по специальности «Международное право» Тамта Ратиани. Для участников конференции были проведены тренинги и интенсивные консультации, после чего у них будет возможность успешной реализации подобного рода симуляций в Грузии. Участникам конференции были переданы сертификаты, благодаря которым они получили право стать тренерами по моделированию ООН.



მდინარე დურუჯის პრობლემატიკის შესახებ გამართული საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები
ИТОГИ КОНСУЛЬТАЦИОННОЙ ВСТРЕЧИ ПО ПРОБЛЕМАТИКИ РЕКИ ДУРУДЖИ
INTERNATIONAL FOUNDATION “DURUJI”



2013 წლის 30 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიაში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც მდინარე დურუჯის აუზში არსებული პრობლემური საკითხების გადაჭრის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინისა და ჰოლანდიის საელჩოების, სახელმწიფო სტრუქტურების – შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სამეცნიერო და კვლევითი ორგანიზაციების, ბიზნეს-სტრუქტურების, ჭავჭავაძის საგვარეულო საზოგადოების, ასევე, ყვარლის ადგილობრივი მმართველობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ყვარლის რაიონის ყოფილი დეპუტატი ნანა პატარკაციშვილი და ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე. შეხვედრაზე დაისვა საკითხი სხვადასხვა უწყებათა საქმიანობის კოორდინირების აუცილებლობის, ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ, პრემიერ-მინისტრისათვის წარსადგენად. შეხვედრის მონაწილეები აპირებენ, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, უწყებათაშორისი სახელმწიფო კომისიის შექმნის ინიცირებას, მდინარე დურუჯის აუზთან დაკავშირებით არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად.

შეხვედრაზე გადაწყდა საინფორმაციო პორტალ „დურუჯის“ შექმნა, ინფორმაციის მოპოვება და განთავსება დურუჯის პრობლემატიკის შესახებ. ასევე, წიგნის გამოცემა, ფილმის მომზადება, მუდმივმოქმედი ექსპოზიციის მომზადება-განთავსება ილია ჭავჭავაძის მემორიალურ მუზეუმში.

იგეგმება კონსულტაციების გამართვა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, ასევე, პოტენციური ინვესტორების მონაწილეობით, ბიზნეს-ფორუმის ორგანიზება.

შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ყვარლის რაიონის ადგილობრივ მმართველობასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის საკითხი. კერძოდ, ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის კსუ-ს ბაზაზე მოამზადებენ მენეჯერებს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. ასევე, შეიმუშავებენ ყვარლის რაიონის საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიას. შეხვედრა გაიმართა პროექტის „ეუთოს თავმჯდომარეობისას უკრაინის ინფორმაციულ-ანალიტიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტი, ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, შვეიცარიისა და საქართველოს საელჩოების მხარდაჭერით ახორციელებს. პროექტის პარტნიორები და თანაორგანიზატორები არიან: უკრაინის საელჩო საქართველოში და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.





***

On 30 May, 2013 Caucasus International University held a consultation meeting at the Laboratory of Geopolitical Modeling. The future prospects of resolving the problematic issues of the river Duruji were considered during the meeting. Representatives of the Embassies of Ukraine and Holland, Governmental Structures – Ministry of Internal Affairs, Ministry of Agriculture, Ministry of Regional Development and Infrastructure, Scientific and Research Organizations, Business-Structures, Ilia Chavchavadze Society, Local Governance of the Kvareli Region and Intellectual society participated in the meeting. Among the invited guests were: former Deputy of Kvareli region, Nana Patarkatsishvili and psychologist Gia Jajanidze.

The following issues were discussed during the meeting: the necessity to coordinate the activities of different institutions, to work out a joint strategy and action plan which will be later submitted to the Prime Minister of Georgia. Meeting participants intend, with the supervision of the Prime Minister, to initiate the establishment of a state commission in order to resolve the issues concerning river Duruji. They have agreed to create the information portal “Duruji”, research, find and later upload data regarding the issues of the river Duruji on the website. In addition, it is envisaged to publish a book, to prepare a film and to arrange and display a constant exposition at Memorial Museum of Ilia Chavchavadze. Consultation meetings with different governmental structures are planned. In addition, business forums will be organized with the support of potential investors.

Within the frameworks of the meeting, the issue of ratifying a joint memorandum between local governance of Kvareli and Caucasus International University were discussed. In particular, CIU will train managers of Kvareli municipality in the field of international relations. Furthermore, the strategy for international collaboration of Kvareli Region will be worked out. The meeting was organized within the frameworks of the project “Informational-Analytical Support of Ukraine during OSCE Chairmanship” with the support of Caucasus Institute of Regional Security, Helsinki Citizens’ Assembly Georgian National Committee and the Embassies of Switzerland and Georgia. Project partners and co-organizers are: The Embassy of Ukraine in Georgia and Caucasus International University.

***

30 мая 2013 года в Кавказской лаборатории геополитического моделирования Кавказского международного университета состоялась консультационная встреча, посвященная рассмотрению перспектив решения проблемных вопросов, существующих в бассейне реки Дуруджи.

В работе встречи приняли участие представители посольств Украины и Голландии, представители государственных структур – Министерства внутренних дел, Министерства сельского хозяйства, Министерства регионального развития и инфраструктуры Грузии, научных и исследовательских организаций, представители бизнес-структур, фамильной организации Чавчавадзе, а также представители локальных властей и интеллигенции Кварельского района.

На встрече был поставлен вопрос необходимости координации деятельности различных ведомств, выработки общей стратегии, разработки плана действий для представления на рассмотрение Премьер-министру Грузии. Участники встречи намереваются инициировать создание под руководством Премьер-министра Грузии межведомственной государственной комиссии по решению проблем Дуруджи.

По итогам встречи было принято решение о создании информационного портала «Дуруджи», сбор и размещение информации по проблематике Дуруджи. Издание книги, подготовка фильма, подготовка и размещение постоянной экспозиции в Мемориальном музее им. Ильи Чавчавдзе.

Планируется проведение дальнейших консультаций с представителями различных государственных структур, а также организация бизнес-форума с участием потенциальных инвесторов.

В рамках встречи был обсужден вопрос подписания меморандума о сотрудничестве между локальным властями Кварельского района и Кавказским международным университетом. В частности для муниципалитета Кварели на базе КМУ будут подготовлены менеджеры по международным отношениям, а также будет разработана стратегия международного сотрудничества Кварельского района.

Встреча была проведена в рамках проекта «Информационно-аналитическая поддержка процесса Председательствования Украины в ОБСЕ». Проект реализуется Кавказским институтом региональной безопасности/Грузинским национальным комитетом Хельсинкской гражданской ассамблеи при поддержке Посольства Швейцарии в Грузии. Партнерами по проекту являются Посольство Украины в Грузии и Кавказский международный университет.

შეხვედრა გდანსკის მენეჯმენტის განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან
MEETING WITH THE REPRESENTATIVES OF GDANSK FOUNDATION FOR MANAGEMENT DEVELOPMENT
ВСТРЕЧА С ПРЕДСТАВИТЕЛЯМИ ГДАНЬСКОГО ФОНДА РАЗВИТИЯ МЕНЕДЖМЕНТА

20 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გდანსკის მენეჯმენტის განვითარების ფონდის დირექტორს ტომაშ ხარაკევიჩსა და ფონდის წარმომადგენელს საქართველოში ზურაბ ჭელებაძეს უმასპინძლა. კსუ-ს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი კახაბერ კორძაია და ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე რუსეცკი.

სტუმრებმა შეხვედრის მონაწილეებს მათი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს, რაც სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისთვის, ბაზარზე მათი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის მიზნით, მართვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარებას გულისხმობს. ამ და ასევე დიპლომის შემდგომი განათლების სფეროში გდანსკის ფონდს ოც წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. მისი საგანმანათლებლო პროგრამები კარიერის განვითარებისა და პროფესიული უნარების დაუფლების საკითხებში მსმენელთა დახმარებისა და პრაქტიკული ცოდნის ეფექტურად გადაცემისკენაა მიმართული.

შეხვედრის მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში დიპლომის შემდგომი განათლების განვითარება და ამ მიმართულებით პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინება. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და გდანსკის მენეჯმენტის განვითარების ფონდის მომავალი თანამშრომლობის საკითხი.

***

On 20 June, 2013 Caucasus International University hosted Thomas Kharakevich, Director of Gdansk Foundation for Management Development and Zurab Chelebadze, the Foundation representative in Georgia. On behalf of CIU, Kakhaber Kordzaia, Rector of Caucasus International University and Aleksandre Rusetski, Head of the Department of Innovations and Strategic Development participated in the meeting.

During the meeting the guests highlighted main directions of their company activities: assistance of various organizations and institutions in improving their performance on market by providing world-class trainings, management development and consultancy. Gdansk Foundation has more than twenty years experience in this field as well as in post-diploma education. Its educational programs strive to help their students with career development and acquisition of professional skills and focus on effective transmission of practical knowledge. The issue of post-diploma education development in Georgia and Caucasus region was raised during the meeting and they emphasized the importance of taking into consideration experience of Poland in this direction. The future collaboration between Caucasus International University and Gdansk Foundation for Management Development was also discussed by meeting participants.

***

20 июня 2013 года в Кавказском международном университете состоялась встреча с директором Гданьского фонда развития менеджмента (GFKM) Томашем Харакевичем и представителем фонда в Грузии Зурабом Челебадзе. Со стороны КМУ в работе встречи приняли участие ректор университета, профессор Кахабер Кордзая, глава Департамента по инновациям и стратегическому развитию Александр Русецкий.

Представители GFKM ознакомили участников встречи с основными направлениями работы представляемой ими компании. Деятельность GFKM направлена на содействие предприятиям и организациям в повышении эффективности их деятельности на рынке через обучение, управленческие тренинги и консультации на мировом уровне. Гданьский фонд развития менеджмента имеет более чем 20-летний опыт в сфере консалтинга, а также постдипломного образования. Образовательные программы GFKM направлены на содействие в развитии карьеры и профессиональных навыков обучающихся, эффективной передаче практических знаний. В ходе работы встречи была подчеркнута важность развития в Грузии и на Кавказе в целом практики постдипломного образования и изучения опыта Польши в этом направлении. Участники встречи также обсудили перспективы сотрудничества Кавказского международного университета и Гданьского фонда развития менеджмента.

კონფერენცია: „ეუთოს ახალი შესაძლებლობები კავკასიაში„
CONFERENCE “NEW OPPORTUNITIES OF OSCE IN CAUCASUS”
КОНФЕРЕНЦИЯ «НОВЫЕ ВОЗМОЖНОСТИ ОБСЕ В КАВКАЗСКОМ РЕГИОНЕ»



2013 წლის 28 ივნისს, 12 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროექტის - „ეუთოს თავმჯდომარეობისას უკრაინის ინფორმაციულ-ანალიტიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია: „ეუთოს ახალი შესაძლებლობები კავკასიაში“.

ღონისძიების ინიციატორები იყვნენ: ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტი, ეუთოს კვლევების კავკასიური ცენტრი, პარტნიორები კი – უკრაინის საელჩო საქართველოში, შვეიცარიის საელჩო საქართველოში და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორია).

კონფერენცია ჰელსინკის 40 წლის წინ დაწყებულ პროცესს ეძღვნებოდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუმრები. მათ შორის, ცნობილი პოლიტიკოსები: ნინო ბურჯანაძე, მანანა ნაჭყებია, ირაკლი ბათიაშვილი, ლელა გულედანი და სხვები.

ქალბატონი მანანა ნაჭყებია (პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები„):

– ასეთი კონფერენციები პოლიტიკური პროცესების მასტიმულირებელია. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამაში უშუალოდ სტუდენტები მონაწილეობენ და შეუძლიათ პრობლემების ადეკვატურად გაანალიზება.

ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე (პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები„):

– ამ შეკრების იდეა ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ეს ის საკითხებია, რომელზეც ჩვენ, ყველანი, ბევრს ვფიქრობთ, თუმცა სასურველია, რომ პროცესები დინამიკური იყოს.

გასათვალისწინებელია, რომ კავკასიის ქვეყნებს ძალიან გვჭირდება ერთად დგომა - ერთობლივი პროგრამები და ინიციატივები.

დიდ მადლობას ვუხდი თქვენს უნივერსიტეტს!

***

შეხვედრამ საქმიანი ფორმატით ჩაიარა. კონფერენციით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა კავკასიაში ეუთოს ახალი შესაძლებლობების განვითარების საქმეში.

***

On 28 June, 2013 at 12:00, within the frameworks of the project “Informational-Analytical Support of Ukraine during OSCE Chairing”, Caucasus International University organized an international conference “New Opportunities of OSCE in Caucasus”.

The event was initiated by: Helsinki Citizens’ Assembly Committee of Georgia, Caucasus Institute of Regional Security and Caucasus Centre for ESCE Research. Conference partners were: Embassy of Ukraine in Georgia, Embassy of Switzerland in Georgia and Caucasus International University (Laboratory of Geo-Political Modeling).

The conference was dedicated to Helsinki process that commenced 40 years ago.

The meeting was attended by: students, academic staff and guests. Among the invited guests were famous politicians: Nino Burjanadze, Manana Nachkebia, Irakli Batiashvili, Lela Guledani and others.

Ms. Manana Nachkebia (The New Rights Party of Georgia):

This kind of conference stimulates political processes. In addition, students themselves are given opportunity to participate in it and are able to adequately analyze the existing problems. Ms. Pikria Chikhladze (The New Right Party of Georgia):

The idea of this meeting is of the essence, as it raises the issues which we all are concerned about. However, it would be desirable if processes were dynamic.

We should take into consideration that Caucasian countries need to stand together, work on mutual programmes and initiatives.

I would like to express my gratitude to your University!

The meeting was a step forward in the development of new opportunities of OSCE in Caucasus.

***

28 июня, 2013 года в 12:00 в Кавказском международном университете (аудитория №305) прошла международная конференция «Новые возможности ОБСЕ в Кавказском регионе». Конференция была проведена в рамках проекта «Информационно-аналитическая поддержка председательствования Украины в ОБСЕ». Инициаторами мероприятия являются Грузинский национальный комитет Хельсинкской гражданской ассамблеи, Кавказский институт региональной безопасности, Кавказский центр исследования ОБСЕ. Партнерами - посольство Украины в Грузии, посольство Швейцарии в Грузии, Кавказский международный университет (Кавказская лаборатория геополитического моделирования).

Конференция посвящалась 40-летию начала Хельсинкского процесса.

В работе конференции приняли участие: студенты, профессорско-преподавательский состав университета и приглашенные гости, среди которых были известные политики: Нино Бурджанадзе, Пикрия Чихрадзе, Манана Начкебия, Ираклий Батиашвили, Лела Гуледани и другие. Госпожа Манана Начкебия (политическое объединение «Новые правые»):

- Подобные конференции стимулируют политические процессы. Очень важно и то, что в ней непосредственное участие принимают и студенты, что дает им возможность адекватно проанализировать проблемы. Госпожа Пикрия Чихрадзе (политическое объединение «Новые правые»):

- Идея данной конференции очень интересна, поскольку это тот вопрос, о котором мы все много думаем, хотя желательно, чтобы эти процессы были динамичными. Необходимо учесть, что странам Кавказа необходимо быть вместе, необходимы совместные программы и инициативы. Огромное спасибо Кавказскому международному университету!

…

Встреча прошла в деловой атмосфере. Проведение конференции стало еще одним шагом в процессе развития новых возможностей для ОБСЕ на Кавказе.



საერთაშორისო გრანტი ვიშეგრადის ფონდიდან

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა კსუ-ს ასოცირებული პროფესორის მარიამ ჯიქიას კოორდინირებით, ვიშეგრადის ფონდიდან საერთაშორისო გრანტი მოიპოვა, რომელიც ევროპის საგადასახადო სამართალში სასწავლო კურსის შექმნას გულისხმობს. გრანტი აღნიშნული სალექციო კურსისთვის მასალის დამუშავებასა და მისი ქართულ ენაზე „რიდერის“ სახით მომზადებას უზრუნველყოფს. ასევე, აღნიშნული კურსის ფარგლებში, სემესტრის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ორი საგადასახადო ექსპერტი ეწვევა (ჩეხეთიდან და პოლონეთიდან) და თითო კვირის განმავლობაში ტრენინგებს ჩაატარებს.

მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის პრეზიდენტის ჯონ მაკდონალდის ლექცია

2013 წლის 27 სექტემბერს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის პრეზიდენტი, განიარაღებისა და მოლაპარაკებების საკითხებში გაეროს ყოფილი ელჩი, ჯონ მაკდონალდი ეწვია. სტუმარმა საჯარო ლექციაზე კონფლიქტების მოგვარების გზებსა და განიარაღებაზე ისაუბრა:

„დღეს მთელი მსოფლიო იმდენად შეიცვალა, რომ კონფლიქტები არა ერებს შორის, არამედ ერებს შიგნით ხდება, ეს დიდი ცვლილებაა დღევანდელ დღეს, მე სურვილი მაქვს მივიღო მონაწილეობა კონფლიქტების დარეგულირებაში და თუ შემიძლია, შევცვალო ამ წესრიგის ელემენტები“, – განაცხადა ჯონ მაკდონალდმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ- მასწავლებლებთან შეხვედრისას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა და დამსწრე-საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონფერენცია თემაზე: „კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების მრავალარხიანი სამშვიდობო პროცესი„

27 სექტემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, თემაზე: „კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების მრავალარხიანი სამშვიდობო პროცესი“, რომელიც ეუთო-ში უკრაინის თავმჯდომარეობის ინფორმაციულ-ანალიტიკური მხარდაჭერის პროცესის ფარგლებში ჩატარდა. შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატით გაიმართა – „ომებისა და ძალადობის მსხვერპლთა როლი სამშვიდობო პროცესის გასაძლიერებლად“.

პროექტის ინიციატორები იყვნენ: კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტი და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი. პროექტის პარტნიორები – შვეიცარიის საელჩო საქართველოში, უკრაინის საელჩო საქართველოში და კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების ევალუაციის ცენტრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (CIU).

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი – კახაბერ კორძაია, საქართველოში ევროსაბჭოს მისიის თავმჯდომარის მოადგილე – ბორის იაროშევიჩი, ლიტვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში – იონას პასლაუსკასი, საქართველოში უკრაინის საქმეებში დროებითი რწმუნებული – ემილია მაცანი, შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელი – დებორა ბასქორი, ასევე მრავალმხრივი დიპლომატიის ინსტიტუტის პრეზიდენტი – ჯონ მაკდონალდი და სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი.

პლენარულ სესიაზე მოხსენება წაიკითხეს: უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა დიმიტრი ტრეტიაკოვმა, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე რუსეცკიმ, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ ვახტანგ მაისაიამ.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ექსპერტებმა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

„თვეში ერთხელ, ჩვენ ვატარებთ საერთაშორისო მრგვალ მაგიდას, რომელიც ეძღვნება სხვადასხვა საკითხებს, რაც საინტერესოა ეუთოსათვის და რეგიონისათვის. დღევანდელი კონფერენცია ეძღვნებოდა კავკასიაში უსაფრთხოებასა და კონფლიქტის მოგვარების საკითხებს. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩვენთან უნივერსიტეტში მობრძანდა ჯონ მაკდონალდი“, – განაცხადა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა კახაბერ კორძაიამ.

კსუ აცნობიერებს, რომ მსგავსი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი დიპლომატებისა და კონფლიქტოლოგებისათვის, ამიტომ ასეთი შეხვედრები უნივერსიტეტში პერმანენტულად გაიმართება.

სტუდენტების ვოიაჟი ბაქოში

ქალაქში შესვლისთანავე ჩვენმა სიხარულმა პიკს მიაღწია, რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა – მატარებლის ფანჯრიდან ულამაზესი ბაქო მოჩანდა.

19 საათიანი მგზავრობა დასრულდა. გამოჩნდა შავგვრემანი ბიჭი – შემდგომში ჩვენი მეგობარი ფარიდი და სასტუმროსკენ გაგვიძღვა.

ჩვენ გაოცებული დავრჩით ბაქოელთა სტუმართმოყვარეობითა და ხელგაშლილობით.

ასე აღმოვჩნდით ოდლარ იურდუს უნივერსიტეტში, სადაც ბატონმა ვაგიფ სადიგზადემ ექსკურსია მოგვაწყო. რექტორი ბატონი ახმედ ველიევი ჩაით გაგვიმასპინძლდა და წარმატება გვისურვა. მოგვხიბლა იქაურობამ. ბაქოში ყოფნისას მუდმივად ჩვენი ახალი მეგობრები: ფარიდი და ანია გვმეურვეობდნენ.

ბატონმა ვაგიფ სადიგზადემ რესტორან „რეტროში“ წაგვიყვანა. ჩვენი შეფასებით, ეს ადგილი უფრო მუზეუმი იყო. რესტორანშივე დავაგემოვნეთ მადისამღვრელი აზერბაიჯანული კერძები, მაგრამ ჩვენი დღე ასე როდი დასრულდა?! ბატონმა ვაგიფმა საღამოს სახლშიც გვიმასპინძლა.

სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე ღამის ბაქომ გაგვაოცა.

ჰეიდარ ალიევისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია მეორე დილას დაიწყო. გახსნის ცერემონია პომპეზური გამოდგა, რამაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენი აზრით, ყოფილი წინამძღოლის ღვაწლის პატივისცემა და მსგავსი დაფასება აზერბაიჯანელი ხალხის მაღალ ზნეობასა და კულტურაზე მიუთითებს.

ჩვენი მხრივ, საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ და საინტერესო თემები წარვუდგინეთ მრავალფეროვან აუდიტორიას.

კონფერენციის შემდეგ ბატონმა ელჩინ ახმადოვმა კიდევ ერთი ლამაზი დღე გვაჩუქა – ბაქო დაგვათვალიერებინა. მოგვეცა შესაძლებლობა ბულვარსა და ბაქოს ქუჩებში გვესეირნა.

მესამე დღეს ოდლარ იურდუს საკონცერტო დარბაზს ვეწვიეთ, სადაც აზერბაიჯანულ კულტურას ვეზიარეთ, სტუდენტების ნიჭიერებითა და შესაძლებლობებით აღფრთოვანებული დავრჩით.

დასკვნითი კონცერტის ბოლოს, რექტორმა ბატონმა ახმედ ველიევმა სერთიფიკატები გადმოგვცა, ჩვენთვის ჰეიდარ ალიევისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება მართლაც დიდი პატივი იყო, რისთვისაც გვინდა ჩვენს მასპინძლებს მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადოთ.

ჩვენი სამდღიანი ვოიაჟი ბაქოში დასასრულს მიუახლოვდა. ცოტა არ იყოს, არ გვეთმობოდა იქაურობა. თუ ერთხელ მაინც მოხვდით აზერბაიჯანის დედაქალაქში, აუცილებლად გაგიჩნდებათ სურვილი, ბაქო მეორედაც ნახოთ. ჩვენც ამ იმედით წამოვედით.

ავტორები: სალომე ჩავლეიშვილი
ხვიჩა კონცელიძე





Students' visit to Baku

As soon as we entered the city our joy reached its peak, because the reality exceeded our expectations – a beautiful Baku showed up to us through the window of the train.

19 hours long trip finally finished. A young man with black hair Farid, who became our friend in the end, met us and accompanied to the hotel.

We got pleasantly surprised at the hospitality and generosity of Azerbaijanian people.

Thereby, we found ourselves at Odlar Yurdu University, where Mr. Vagif Sadigzade took us around the University. The Principal Mr. Akhmed Veliev kindly treated us with tea and wished all the best in future endeavors. We got amazed with all we'd seen. During our visit to Baku our new friends Farid and Anya took cordial care of us and accompany everywhere throughout the visit.

Mr. Vagif Sadigzade kindly took us to the restaurant "Retro". To our mind, this place looked like more as a museum. We tasted very delicious national Azerbaijanian food out there, but this day was not finished only with this?! In the evening, Mr. Vagif invited us to his home.

On the way back to the hotel we also had a chance to enjoy amazing views of Baku at night.

The international conference dedicated to Heydar Aliev's memory started the next day. Opening ceremony was the most pompous, we enjoyed it a lot.

In our opinion, such respectful estimation of the merits of their national leader denotes Azerbaijanian people particular moral principles and culture.

On our part, we tried to make our participation as fruitful as possible and prepared interesting presentations for the conference.

Following the event Mr. Elchin Akhmadov made one more day beautiful to us – organized an excursion around Baku, when we strolled on Boulevard and streets of this amazing city.

The third day we went to the Odlar Yurdu Concert Hall, where attended the concert and shared Azerbaijanian culture, and again and again got delighted with the talent of students participated in the performance.

After the concert, Principal Mr. Akhmed Veliev awarded us with certificates of participation at the conference devoted to Heydar Aliev what was a high honor to us and hereby, we'd like once more to say sincere words of gratitude to our hosts.

Our 3-day visit to Baku came to an end. To say truly, we wanted to stay more. If you have a chance to visit capital of Azerbaijan some day, you'll certainly wish to come to this city again. We returned home with this hope too.

Authors: SALOME CHAVLEISHVILI
KHVICHA KONTSELIDZE

Вояж студентов в Баку

Уже при въезде в город наша радость не имела границ, реальность превзошла ожидания – из окна поезда показался прекрасный Баку.

19-часовое путешествие закончилось. Появился смуглый парень Фарид, ставший впоследствии нашим другом, который сопроводил нас в гостиницу.

Мы были поражены гостеприимством и щедростью бакинцев.

Так мы оказались в университете Одлар Юрду, где господин Вагиф Садигзаде устроил для нас экскурсию. Ректор, господин Ахмед Валиев угостил нас чаем и пожелал успехов. В Баку нас постоянно сопровождали наши новые друзья - Фарид и Аня.

Господин Вагиф Садигзаде повел нас в ресторан «Ретро». На наш взгляд, это место больше походило на музей. В ресторане мы попробовали аппетитные азербайджанские блюда, но разве на этом закончился наш день?! Господин Вагиф пригласил нас домой в гости.

Ночной Баку удивлял нас по дороге в гостиницу.

Конференция, посвященная юбилею Гейдара Алиева, началась на второй день. Большое впечатление на нас произвела торжественная церемония открытия.

По-нашему мнению, уважение и подобная оценка бывшего лидера со стороны азербайджанского народа говорит о высокой нравственности и культуре.

Мы также с большой ответственностью отнеслись к делу и представили вниманию многосторонней аудитории интересные темы.

После завершения первого дня конференции господин Эльчин Ахмадов подарил нам еще один замечательный вечер – он показал нам Баку, дал возможность прогуляться по бульварам и улочкам города.

На третий день мы посетили концертный зал университета Одлар Юрду, где имели возможность познакомиться с азербайджанской культурой. Мы были восхищены талантом студентов.

В заключительной части концерта, ректор университета, господин Ахмед Валиев вручил нам сертификаты. Участие в конференции, посвященной памяти Гейдара Алиева действительно было большой честью для нас. Еще раз, от всей души, хотим поблагодарить за гостеприимство!

Наш трехдневный вояж в Баку подошел к завершению. Сказать, что мы не хотели уезжать, значит - ничего не сказать. Если хотя бы один раз попадете в столицу Азербайджана, у вас обязательно появится желание приехать сюда еще раз. С этой надеждой мы и уехали.

Авторы: САЛОМЭ ЧАВЛЕЙШВИЛИ
ХВИЧА КОНЦЕЛИДЗЕ

ჯეიმზ ესკინი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

„თქვენი ისტორია მაგალითია ჩვენთვის, ისევე, როგორც ჩვენი ისტორიაა მაგალითი თქვენთვის“ საქართველო-ისრაელის ურთიერთობა, ისტორია, ტრადიციები, კულტურა, რელიგია და საერთო ღირებულებები — ეს ის საკითხებია, რაზეც ებრაელმა პოლიტოლოგმა და პუბლიცისტმა შეხვედრის დაწყებისას გაამახვილა ყურადღება.

„თქვენ უნიკალურები ხართ! უნიკალურია თქვენი პოლიფონია, გალობა, რელიგია... ჩვენი ქვეყნების კულტურა გადაჯაჭვულია, ისტორია კი — სამაგალითო...

ჩემთვის დღესასწაულია თქვენთან ჩამოსვლა. აქ იგრძნობა ის, რამაც აქამდე მოგიყვანათ, განსხვავებით რომისა და ელინური იმპერიებისაგან... მართალია, დღესაც განაგრძობენ არსებობას ისეთი ძველი ქვეყნები, როგორიცაა: იაპონია და ინდოეთი, მაგრამ მათგანაც მთავარი რამ განგასხვავებთ — მათ მშვიდი წარსული ჰქონდათ, თქვენ კი — არა...

ქართველები ხშირად კარგავდით მთავარ ფასეულობას — თავისუფლებას... თუმცა ბრძოლით თავიდან მოიპოვებდით ხოლმე მას... ეს ძალიან ჰგავს ისრაელის ისტორიას... ებრაელი ხალხის მსგავსად, თქვენც გაძევებდნენ თქვენივე მიწიდან, უფლისა და რელიგიის დახმარებით კი ყოველთვის ბრუნდებოდით შინ... იქ, სადაც თავისუფლებაა... და დღეს, თქვენ ხართ კიდეც თავისუფალი ერი!...

ერთ-ერთი პირველი, რაზეც პოლიტოლოგმა ყურადღება გაამახვილა, ეს სუვერენული სახელმწიფოს მთავარი ღირებულებები და „თანამედროვე კატასტროფა —არასწორი იდეოლოგიების დამკვიდრება“ იყო.

ავიგდორ ესკინი მიიჩნევს, რომ ქართელმა ერმა მსგავს „არასწორ იდეოლოგიას“ უარი 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქციის ჩაშლით, განუცხადა.

- ნაკლი კი არ უნდა შევიბრალოთ, არამედ,



უნდა გამოვასწოროთ და გავხდეთ უკეთესები. თუ დასავლეთში არასწორი იდეოლოგიის პროპაგანდა მიმდინარეობს, ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ერებმა მას უნდა მიბაძონ... რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდება ქვეყნის ევროინტეგრაცია.

იმისთვის, რომ ქვეყანა დამოუკიდებელი გახდეს, ინდივიდუალიზმია საჭირო. თქვენი გზა არა რუსიფიკაცია, ამერიკანიზაცია და ევროპეიზაცია, არამედ თქვენივე კულტურა, რელიგია და ფილოსოფიაა.

შეხვედრის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა. აქცენტები საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე, საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და რადიკალიზმის თანამდევ საფრთხეებზე გაკეთდა. ამ მიმართულებით აუდიტორიის კითხვები საქართველოსთვის, ბოლო პერიოდში, ყველაზე მწვავე და კონკრეტულ პრობლემებს შეეხო.

უკანონო სადემარკაციო სამუშაოები შიდა ქართლში:

„დიცსა და დვანში ხდება ის, რაც მთლიანად რუსეთში — უკანონობა“, — ასეთი შეფასება მოჰყვა კითხვას, რომელიც ე.წ. საზღვრების გადმოწევის სამუშაოებს ეხებოდა.

რუსეთის ქმედებაში, რომლის შედეგადაც მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საცხოვრებელი სახლების იძულებით დატოვება მოუხდა, პოლიტოლოგი ლოგიკას ვერ პოულობს.

- ვერ ვიგებ რუსეთის პოზიციას, ეს შეიძლება ავხსნათ ნატოს ჯარების არ შეშვების სურვილით. დიალოგის დაწყება შეიძლება სიმართლის გარკვევით. სიმართლე კი ისაა, რომ რუსეთში უყვართ ქართველები. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, აფხაზეთს, ცხინვალს, მათ დაიჯერეს, რომ დამოუკიდებელნი არიან. რალურად კი ტერიტორიაზე ადგილობრივები აღარც კი დარჩნენ, იქ უმეტესად რუსები და სომხები ცხოვრობენ.

თავად ფაქტი — მეზობელ ქვეყანასთან საზღვრების გამო დავა, ურთულესია და ის მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს.

საქართველო სოჭის ოლიმპიადაზე:

- ის, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის „გმირი“, რუსი სამხედრო მფრინავი, ივან ნიჩაევია გამაღიზიანებელი და რთულია. თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, ინვესტირების კუთხით, მონაწილეობის მიღება მომგებიანი იქნება.

მე მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ ოლიმპიადას. იმ მოქალაქეების, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების, ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას ამ კუთხით, თუმცა ამ ეტაპზე მონაწილეობა უფრო სწორად მიმაჩნია.

ხელისუფლება და საგარეო დიპლომატია:

- რუსეთთან ურთიერთობა, ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, ყოველთვის რადიკალურად იცვლებოდა.

ზვიად გამსახურდია სასტიკად ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან ახლო ურთიერთობას, შემდეგ იყო შევარდნაძე, რომელიც პირიქით, კეთლგანწყობილი იყო მეზობელი ქვეყნისადმი. მას მოჰყვა სააკაშვილი, ასევე ანტირუსული, ხისტი და უხეში პოლიტიკის მომხრე, პირველი ოქტომბრისა და „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ კი სიტუცია ისევ რადიკალურად შეიცვალა.

რაც შეეხება ზოგადად საგარეო კურსს, ესკინი მიიჩნევს, რომ ნეიტრალიტეტი ყველაზე კარგი გამოსავალია. მას არც მკვეთრად დასავლური ორიენტირი მიაჩნია ქვეყნის გადარჩენის გზად და აცხადებს, რომ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების გვერდში დგომაზე ვსაუბრობთ, საჭიროა გავიხსენოთ ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების სიცოცხლე და მხოლოდ ამის შემდეგ ვუპასუხოთ კითხვას: ვინ ვის ეხმარება რეალურად?!.

შეხვედრაზე გამოკვეთილ, არსებულ სირთულეებს, ნეიტრალური მხარის მოსაზრების მოსმენა და გათვალისწინება, უმეტესად, პოზიტივისკენ ცვლის. ამ შემთხვევაში, პოლიტოლოგის აზრით, პრობლემების გადაწყვეტისთვის საჭიროა ეროვნული ღირებულებების პატივისცემა, პროპაგანდა და სიყვარული.

შემოთავაზებული რეკომენდაციების გააზრება, გაანალიზება და რეალობაში გახორციელება კი სუვერენული სახელმწიფოს განვითარებისთვის გადაგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება შევაფასოთ.

ლიკა ზამბახიძე

მშვიდობის ახალგაზრდული ბანაკი ბუდაპეშტში



„ევროპული ახალგაზრდული ცენტრის“ უზარმაზარი შენობა მთელ ბუდაპეშტს როზსადმობიდან (ვარდის მთებიდან) გადმოჰყურებს. ცენტრი 1995 წელს დაარსდა, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაა და ევროსაბჭოს საქმიანობის მნიშვნელოვან სეგმენტს მოიცავს. წლის განმავლობაში „ევროპული ახალგაზრდული ცენტრი“ უამრავ ღონისძიებას ატარებს. მათ შორისაა: ე.წ. ვორქშოპები, სემინარები, ტრენინგები და კოალიციური პროექტები, ასევე ეწყობა ბანაკები. ეს ყველაფერი ადამიანის უფლებების დაცვის, ტოლერანტობისა და დიალოგის მნიშვნელობის გააზრების, მშვიდობიანი თანაარსებობის კულტურის ჩამოყალიბებისთვის კეთდება.

ცენტრის სავიზიტო ბარათად „მშვიდობის ახალგაზრდული ბანაკი“ იქცა, რომელიც, ბოლო რამდენიმე წელია, სისტემატურად ბუდაპეშტში იმართება და მასში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდები მსოფლიოს კონფლიქტური ზონებიდან და მათი უმეტესობა აქტიური სამოქალაქო ცხოვრებითაა დაკავებული. ღონისძიების მიზანია დაპირისპირებული რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდებისთვის საერთო ენის პოვნაში, ცრურწმენებზე დამყარებული სტერეოტიპების მსხვერევასა და პრობლემებზე ერთად მუშაობის პრეცენდენტის შექმნაში, დახმარების გაწევა. სწორედ ამიტომ იწვევენ ორგანიზატორები მონაწილეებს კოსოვოდან, სერბეთიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან, პალესტინიდან, საქართველოდან (აფხაზეთისა და ცხინვალის ჩათვლით), სომხეთსა და აზერბაიჯანიდან.

რამდენიმე ქართველ აქტივისტთან ერთად წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო წლევანდელი წლის „მშვიდობის ბანაკში“, ეს ყოველივე კი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აქტიური ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.

ბანაკაში ორი სტატუსით ვიმყოფებოდი: როგორც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი და როგორც სამოქალაქო აქტივისტი ,,ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეიდან”. ეს ორი სტრუქტურა წელიწადზე მეტია რაც ეფექტურად თანამშრომლობს და ახალგაზრდა თაობას ახალ პერსპექტივებს სთავაზობს. ქმნის უნიკალურ პრეცენდენტს საგანმანათლებლო სისტემაში, როცა სამოქალაქო და კერძო სექტორი, გაერთიანებული ძალებით, ცდილობს სტუდენტებს გზა ახალი შესაძლებლობებისკენ გაუხსნას. ,,მშვიდობის ბანაკი” ჩემთვის, სწორედ ასეთ შესაძლებლობად იქცა.

ბუნებრივია, მონაწილეთაგან საქართველო და რუსეთი დაპირისპირებულ მხარეებად მოიაზრებოდნენ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები რუსეთის ჯგუფში ერთიანდებოდნენ, წარმომადგენელთა სიმცირის გამო – მონაწილეებმა ცხინვალის რეგიონიდან ვერ მოახერხეს ბუდაპეშტში ჩამოსვლა.

გამგზავრებამდე რუსეთის ჯგუფთან მძიმე ურთიერთობას ველოდი, თუმცა ვიმედოვნებდი, რომ სამოქალაქო სექტორი უფრო გახსნილი აღმოჩნდებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

გაცილებით დიდი ინტერესით აფხაზებთან ჩემს პირველ შეხვედრას ვეკიდებოდი. მათზე განსაკუთრებული ფოკუსირება ჩემი მიზანი არ ყოფილა, თუმცა ეს შეხვედრა ქვეცნობიერად ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნდა. მაქსიმალური კეთილგანწყობის მიუხედავად, აფხაზ მონაწილეებთან საკმაოდ ცივი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რაც ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მდგომარეობა არც ბანაკის მუშაობის დასასრულისთვის შეცვლილა. ბუნებრივია, არასასიამოვნო განცდაა, როცა ამდენი წლის შემდეგაც ელემენტარული კომუნიკაციის გზებს ვერ ვპოულობთ, რათა ერთმანეთთან ულტიმატუმებით საუბარი შევწყვიტოთ. მაშინ, როცა ხედავ ახალგაზრდებს ყოფილი იუგოსლავიის ომის მონაწილე ქვეყნებიდან და აცნობიერებ, თუ როგორ აფასებენ ისინი საერთო მძიმე წარსულს და ცდილობენ ერთმანეთთან გულითადი ადამიანური ურთიერთობები აღადგინონ, შეცვალონ ურთიერთდამოკიდებულება.

ბუდაპეშტამდე გზა შორი აღმოჩნდა – წყალდიდობების გამო დანიშნულების ადგილამდე ჩასასვლელად ვენიდან ბრატისლავის გავლით უზარმაზარი წრის გაკეთება მატარებლით მოგვიხდა. როცა ნიგლექტის სადგურიდან ახალგაზრდული ცენტრისკენ გავემართეთ, პირველი, რაც თვალში მოგვხდა, თბილისისა და ბუდაპეშტის ღამის ქუჩების მსაგვსება იყო. მომდევნო რვა დღის განმავლობაში სესიები ახალგაზრდული ცენტრის მეოთხე სართულზე ტარდებოდა, საიდანაც მთელი ბუდაპეშტის პანორამული ხედი იშლებოდა და ნამდვილად ართულებდა სემინარებზე მაქსიმალურ ფოკუსირებას.

ორგანიზატორებმა და ტრენერებმა მთელი ბანაკი გარკვეულ თემატურ კატეგორიებად დაგვყვეს. დავალებების შესრულების შემდეგ დიდი დრო ეთმობოდა ჩვენი ქცევების, მოტივაციებისა და გამოხატვის საშუალებების განხილვას. პირველი დღის ძირითადი ნაწილი ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური განათლების არსის გააზრებას დაეთმო. იმის გააზრებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამივეს კომპლექსურად გამოყენება.

მეორე დღის ძირითადი ნაწილი ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების მნიშვნელობას და მათს ურთიერთქმედებას დავუთმეთ. ვისაუბრეთ თემებზე: ,,ვინ ვარ მე?” და ,,ვინ ვართ ჩვენ?” და რამდენად არის დაკავშირებული ჩვენეული აღქმა კოლექტიური იდენტობისა, ადამიანის უფლებებსა და ღირსებებთან.

მომდევნო დღემ კი დაადასტურა, რომ უშუალო შეხვედრები, თანასწორი პოზიციებიდან საუბარი, ნამდვილად ათბობს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, რაც უნდა გასხვავებულ და დაპირისპირებულ ჯგუფებს წარმოადგენდნენ ისინი. საღამოს გემით დუნაიზე გასეირნებამ ამას ძალიან შეუწყო ხელი.

პირველი სამი დღის განმავლობაში 50–მდე ახალგაზრდა სემინარებზე ენერგიულ მსჯელობასა და დისკუსიებს უთმობდა დროს. მეოთხე დღეს კი ყველა ჯგუფს, ყველა მონაწილეს პერსონალურად მოუხდა პასუხი გაეცა შეკითხვაზე – ,,როგორ შეგეხოთ კონფლიქტი და რა გავლენა მოახდინა მან თქვენზე?” ალბათ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. რაც უფრო მეტად ვშორდები მას, იქ მოსმენილი ნარატივი მით უფრო აძლიერებს ჩემში პაციფისტურ ღირებულებებს. ყველაფერი ეს ადრეც ვიცოდი, მაგრამ კონკრეტული ადამიანების მიერ მოყოლილი თითქმის მსგავსი ისტორიები იმაზე მძიმე მოსასმენი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. რაც უფრო იზრდებოდა მოსაუბრეთა რაოდენობა, მით უფრო ხშირდებოდა ცრემლი. ამ დღემ ბანაკის მონაწილეებთან ურთიერთობების ახალი პერსპექტივები გაგვიხსნა თითოეულ ჩვენგანს. საინტერესო ალბათ სწორედ ის არის, რომ მსგავსი ტკივილი ყველაზე მეტად გვაახლოებს ერთმანეთთან. ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ განსხვავებაზე მეტ მსგავსებას ვავლენთ.

მომდევნო დღეების განმავლობაში დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა რეფლექს-ჯგუფებში მუშაობას. ბანაკებისა თუ სხვა ტიპის ღონისძიებებში ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა. რა გვაკლია ადამიანებს? თვითრეფლექცია, მეტი ფიქრი იმაზე, თუ რა გვინდა სინამდვილეში.

ბანაკში გვიტარდებოდა სემინარები სტიგმატიზაციაზე, სტერეოტიპიზაციაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცრურწმენებისა და მითების შექმნისგან თავის შეკავება, რათა ხელი შევუწყოთ კონფლიქტის, გაუგებრობების მინიმალიზაციას. ამ მიზნით, მსოფლიოს მასშტაბით, ევროსაბჭო ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პროგრამას, რომელთაგან ერთ–ერთია – ,,არა სიძულვილის ენას”. სწორედ ამ და მსგავსი პროექტების შესახებ მივიღეთ ინფორმაცია ბოლო დღეებში, რათა მეტი პერსპექტივა გვქონოდა ადგილობრივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, ყველას ვუსურვებ მსგავს პროექტებში მონაწილეობას.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა“ და „ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეას“ გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

გიორგი დავიდოვი

მარიამ ჯიქია: „ეს წიგნი იქნება პირველი სახელმძღვანელო ევროპის საგადასახადო სამართალში ქართულ ენაზე“

საერთაშორისო გრანტი ვიშეგრადის ფონდიდან



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მარიამ ჯიქიას კოორდინირებით, კსუ-მ ვიშეგრადის ფონდიდან საერთაშორისო გრანტი მოიპოვა, რომელიც ევროპის საგადასახადო სამართალში სასწავლო კურსის შექმნას გულისხმობს.

გრანტის ფარგლებში სალექციო კურსისთვის სახელმძღვანელო მომზადდება. ასევე, სემესტრის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს ორი საგადასახადო ექსპერტი ეწვევა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს მარიამ ჯიქიას ვესაუბრეთ:

– რატომაა მნიშვნელოვანი ვიშეგრადის ფონდიდან გრანტის მოპოვება?

– ვიშეგრადის ფონდი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფონდი, რომელიც ყოველწლიურად აფინანსებს, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებას, სხვადასხვა კვლევებსა და კულტურულ ღონისძიებებს.

2012 წელს ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსება 7 მილიონ ევროს შეადგენდა. ვიშეგრადის საერთაშორისო გრანტის მოპოვება საკმაოდ რთულია, რადგან თითოეულ კატეგორიაში, რომელშიც გრანტს გამოყოფენ, უამრავი კონკურენტია.

ჩემი აზრით, მსგავსი გრანტების მოპოვება უნივერსიტეტზე დადებითად აისახება, რადგან ამ საერთაშორისო გრანტებით ის ცნობადი ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბით.

– რა ტიპის პროექტი უნდა მოამზადოთ გრანტის ფარგლებში?

– საერთაშორისო გრანტი გამოგვიყვეს სასწავლო კურსის მოსამზადებლად, რომელიც ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების საბაკალავრო პროგრამებში უნდა შევიტანოთ, როგორც ერთ-ერთი არჩევითი საგანი – ევროპის საგადასახადო სამართალი (ვიშეგრადის პერსპექტივა). ამ გრანტის ფარგლებში უნდა ითავგმოს ზემოაღნიშნული საგნის მასალები და მომზადდეს სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

– რატომაა მნიშვნელოვანი ამ სახელმძღვანელოს შექმნა ჩვენი უნივერსიტეტისათვის?

– დღესდღეობით ევროპის საგადასახადო სამართალი საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მას არა მარტო ევროკავშირის ქვეყნებზე აქვს გავლენა, არამედ მესამე სახელმწიფოებზეც, რომელთაც ევროკავშირის სახელმწიფოებთან გარკვეული ეკონომიკური თუ სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებს, მათ შორის ვართ ჩვენც.

აღნიშნულ საგანს საქართველოში პირველად ჩვენს უნივერსიტეტში შემოიტანენ და ეს წიგნიც იქნება პირველი სახელმძღვანელო ამ დარგში ქართულ ენაზე.

– რა კონკრეტულ შედეგს ელით ამ პროექტისგან?

– იმედი მაქვს ამ კონკრეტული პროექტით, პირველ რიგში, სტუდენტები დაინტერესდებიან. პროცესში მხოლოდ ადგილობრივი პროფესორები არ იქნებიან ჩართული, ყველა სემესტრში, აღნიშნული კურსის პერიოდში, რამდენიმედღიან ტრენინგს ჩაატარებენ პოლონელი და ჩეხი ექსპერტები და გაგვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ამ სფეროში. მსგავსი პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ შესაძლებელია, ვიშეგრადის ფონდის დაფინანსებით, წარმატებული სამაგისტრო პროგრამის დაფინანსებაც, რაზეც უკვე დავიწყეთ მუშაობა. ყოველივე ზემოთთქმულის განხორციელება დამოკიდებული იქნება სწორედ ამ პროექტის წარმატებით დასრულებაზე.

ინტერვიუ

ჩხუბობს იქ, სადაც საჭიროა



ძალადობისგან თავის შეკავება, სულის სიმტკიცე, უფროსების პატივისცემა, – ეს კარატისტის უმთავრესი პრინციპებია.

წარმატების მიღწევა, მიზნისკენ სწრაფვა, – ეს სტუდენტის ცხოვრებისეული გეგმები.

ჩვენს შემთხვევაში, ამ ორ მოცემულობას ერთი მთავარი გადაკვეთის წერტილი აქვს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი ანა ბოგვერაძე – გოგონა განსხვავებული ინტერესებით, შესაძლებლობებითა და სურვილებით.

,,სტუდენტური დღეების“ ფარგლებში CIU ბევრ სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობდა, მათ შორის, სპორტის მიმართულებით. ანამ, მეგობრის დიდი სურვილითა და ინიციატივით, კრივის შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა.

– 11 წლის ვიყავი, ვარჯიში რომ დავიწყე. ორი თვის შემდეგ 2005 წელს პირდაპირ კავკასიის ჩემპიონატზე მოვხვდი, ყოველგვარი შიდა ტურნირის გარეშე და გავიმარჯვე. 5 წლის განმავლობაში აქტიურად ვვარჯიშობდი, მაგრამ ბოლო ორი წელი აბიტურიენტობამ შემიშალა ხელი და საკმარის დროს ვეღარ ვუთმობდი კარატეს. ბავშვობიდან ძალიან აქტიური და გახსნილი ვიყავი. მონაცემები მქონდა და გადავწყვიტე, შესარჩევ ტურზე მივსულიყავი. მოვეწონე მასწავლებელს და მითხრა, რომ მივყოლოდი ამ სახეობას. ასე დავიწყე... მერე უკვე თანდათან კარატე ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა.

– ანა, როგორ გადაწყვიტე ,,სტუდენტურ დღეებში“ მონაწილეობა?

– უნივერსიტეტში ჩემს სპორტულ მისწრაფებებზე მხოლოდ მეგობრებმა იცოდნენ, ერთ-ერთმა, გიორგი ქორიძემ, მითხრა ამ საუნივერსიტეტო კონკურსის შესახებ და მონაწილეობის მიღება შემომთავაზა. თავიდან ორ კუნკურენტთან ვიასპარეზე. მხოლოდ იმ კონკურსანტთან დავმარცხდი, რომელმაც I ადგილი აიღო. 2 წლიანი პაუზის შემდეგ რინგზე გასვლა ძალიან რთული აღმოჩნდა, თანაც ისეთ კონკურენტებთან, რომლებიც ყოველდღიური რეჟიმით ვარჯიშობენ. ახლა უფრო მეტი მოტივაცია გამიჩნდა, ყველაფერი გავაკეთო და მომავალ წელს



I ადგილი დავიკავო. მესამეს – აღარ დავჯერდები.

– რა ნაბიჯების გადადგმას აპირებ ამ მიზნის მისაღწევად, რამ უნდა გიბიძგოს იმისკენ, რომ ვარჯიში კვლავ განაახლო?

– ვფიქრობ, თავდაჯერებულობა მაკლია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიო, რაც შეეხება უნივერსიტეტს, დამპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში თანამედროვე სტანდარტით მოწყობილი სპორტდარბაზი გვექნება, სადაც მე და სხვა სპორტსმენებს საშუალება მოგვეცემა ვივარჯიშოთ, ჯანმრთელი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ. ამ ეტაპზე მხოლოდ უნივერსიტეტზე ვარ დამოკიდებული, რადგან ჩემი ფინანსური და სოციალური მდგომარეობა (ვსწავლობ, ვმუშაობ) არ მაძლევს იმის საშუალებასა და ფუფუნებას, ვიცხოვრო ისე, როგორც მე მინდა, აქტიურად ვივარჯიშო და კარატეს თავი არ დავანებო.

ზემოთ წაკითხულიდან ანაზე ალბათ უკვე შეგექმნათ გარკვეული წარმოდგენა, მაგრამ ცდებით, წინ კიდევ ბევრი, უცნობი დეტალია. ცეკვა, პოეზია...

11 წლამდე, სანამ კარატეთი დაინტერესდებოდა, ცეკვაზე დადიოდა, მერე პარალელურად – ორივეზე. მეც თავიდან ცეკვისას შევამჩნიე. უნივერსიტეტიდან ,,სტუდენტურ დღეებზე“, ,,New Age Studio“-ს საგულშემატკივროდ მივდიოდით, მისი განწყობა მეტროშივე იგრძნობოდა – ლაღად, თავისუფლად, მეტროს გუგუნთან ერთად ბოლო ხმაზე აწეულ აჭარულზე აცეკვდა და მეგობრებიც აიყოლია... მომღიმარი, მაგრამ მაინც, სულ ცოტათი სევდიანია ჩვენი ანა, ეს მას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

„ვფიქრობ, ვინც საკუთარ თავს ძლიერს უწოდებს, სინამდვილეში ასეთი სულაც არ არის. მე არ ვარ ძლიერი, უბრალოდ ვცდილობ, ყოველთვის მივაღწიო მიზანს, რამდენად გამომდის, ეს სხვა საკითხია“.

ცოტათი უძნელდება, შეიძლება სულ ცოტათი აშინებს კიდეც იმ სირთულეების გაცნობიერება, რისი გადატანაც უკვე მოუხდა და რაც მომავალში ელოდება. ამბობს, რომ რთულია, როცა ამ ასაკში მასზეა დამოკიდებული მთელი ცხოვრება და კარიერა.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის მხარში უდგას, ეხმარება და მის აზრს ითვალისწინებს – დედაა, ანასთვის ეს ძალიან სათუთი თემაა და მასზე უემოციოდ საუბარი არ გამოსდის.

– ანა, როგორ უნდა გადაანაწილო და გამიჯნო ფიზიკური ძალა რეალურ ცხოვრებასა და კრივში? ვინ ადგენს კანონებს და რა ხდება მათი დარღვევის შემთხვევაში?

– ამ სპორტით დაინტერესებული ყველა ადამიანი თანდათან სწავლობს და შემდეგ უკვე ცხოვრების წესად ექცევა მთავარი დევიზი:

იჩხუბოს იქ, სადაც საჭიროა;
არ იჩხუბოს სუსტებთან;
დარღვევას, ალბათ, თავად ადამიანი განიცდის, ამიტომაა საჭირო ფიზიკური ძალის დაბალანსება, ეს გარკვეულწილად შეურაცხმყოფელია, რადგან, პირველ რიგში, საკუთარი თავის მოთოკვა უნდა შეგეძლოს. რაც შეეხება წესების დაღვევას, ბავშობისდროინდელი შემთხვევა გამახსენდა: ჩემს სოფელში ასე თუ ისე ყველამ იცოდა, რომ კრივზე დავდიოდი. მაშინ ვარჯიში დაახლოებით ერთი წლის დაწყებული მქონდა, სახლში ვბრუნდებოდი, როცა რამდენიმე ბიჭი უკან გამომყვა და საუბრითა და ჟესტებით ჩემი პროვოცირება სცადა, ერთ-ერთი განსაკუთრებით აქტიურობდა. პატარა კენჭებს ჩემი მიმართულებით ისროდა და საჩხუბრად მიწვევდა.

,,ეს ის გოგო არ არის, კრივზე რომ დადის? კარგით რა, ამას როგორ ვერ მოვერევიო.„

სტადიონთან შევჩერდით, სადაც საფეხბურთო მატჩი მიმდინარეობდა და ახალგაზრდები იყვნენ შეკრებილი. უცებ, წამის მეასედში, ჩვენ გარშემო წრე გაკეთდა, ასეთი რამ მანამდე მხოლოდ კინოში თუ მენახა. მე 15-ის ვიყავი, ჩემი მოწინააღმდეგე – 17-ის. არ მეგონა, თუ დამარტყამდა... დავეცი... მერე ავდექი და ის გავაკეთე, რასაც მას მერეც ამდენი წელია ვსწავლობ. ამასობაში უფროსებიც მოვიდნენ, მატჩიც შეწყდა და ის ბიჭიც მოედნიდან სხვების დახმარებით გავიდა.

– ანა, ირიბად უკვე ,,შევეხეთ“ ბიჭებს, მოდი, ახლა სხვა, უფრო დადებითი კონტექსტით ვილაპარაკოთ მათზე...

– რა თქმა უნდა, ეს თემა ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავე დროს, თითქოს, გვერდზე გადადებული და გაწეული საკითხი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ყველა ადამიანს სჭირდება გვერდით პიროვნება, ვინც მას შეავსებს. რაც შემეხება მე, მინდა ამ ურთიერთობამ მეტად თავდაჯერებული და ბედნიერი გამხადოს. ასეთი ადამიანი ჯერ ვერ ვიპოვე.

P.S. ეს შეიძლება იმის ბრალიცაა, რომ ანას ზედმეტად ცვალებადი ხასიათი აქვს, მასალის ავტორებმა ამ საკითხში დახმარება აღვუთქვით, ასე რომ, რომანტიკულო, მაგრამ, ამავე დროს, მიწაზე მყარად მოსიარულე მამრებო, ანას გულის დაპყრობამდე შესარჩევი ეტაპების გავლა ჯერ ჩვენთან მოგიწევთ...

ნინო ზვიადაური
თაკო ხახუბია

კსუ-ს „წლის მგოსანი 2013“ – ქრისტინე პახომოვი:

„იქ, სადაც ხმა უძლურია, თქვენ მიიტანეთ ჩემი გულის ამოძახილი...„



სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პოეზიის კონკურსი „წლის მგოსანი ჩატარდა“. ორ ეტაპად გამართული მხატვრული „პაექრობა“ საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ფინალურ ეტაპზე გასულთა შორის საბოლოო გამარჯვება ქრისტინე პახომოვმა მოიპოვა.

გთავაზობთ ინტერვიუს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „წლის მგოსანთან“ ქრისტინე პახომოვთან:

– როდის აღმოაჩინე საკუთარ თავში შემოქმედი და რა იქცა შენთვის ბიძგად?

– ცოტა არ იყოს, მეუხერხულება, როცა საკუთარი თავის შემოქმედად, პოეტად წარდგენა მიწევს. მეუხერხულება ჩემს ნაწერს დავარქვა ლექსი, ვერლიბრი.

პირველი ნამუშევარი პროზაული იყო. წერა-კითხვის ათვისებისთანავე დავწერე. მგონი ასე ერქვა– „ბიჭი და ძაღლი“. საკუთარი ხელებით შეკრულ რვეულში ვწერდი, დიდი და გაუმართავი ასოებით. მერე ჩემმა მასწავლებელმა ბლოკნოტი მაჩუქა. გარეკანზე ლეკვი ეხატა. მგონი დღემდე აქვს დედას შენახული. როცა წამოვიზარდე, წერა შევწყვიტე, რადგან ერთმა „კომპეტენტურმა“ ქალბატონმა, მას შემდეგ, რაც შემთხვევით ჩემი ბავშვური ჩანაწერები წაიკითხა, სათვალის მიღმიდან დღემდე დაუვიწყარი მზერით მითხრა, რომ ყველა მეორე წერდა და „ამბიცია“, რომ მე ოდესმე რაიმე ღირებულს შევქმნიდი, აზრს მოკლებული იყო.

მისმა სიტყვებმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, რომ დღემდე მაქვს კომპლექსი, როცა მეტ-ნაკლებად საჯარო ხდება ჩემი ლექსი. თუმცა პაუზა დიდხანს არ გაგრძელებულა. სულის წრიალს ვერ გავუძელი და იმდენად ახლობელი გახდა ჩემთვის ქაღალდი და კალამი, რომ უახლოეს მეგობრებსაც და დედასაც უმთავრეს სათქმელს ყოველთვის წერილობით ვეუბნებოდი.

ჩემი ლექსებიც ძირითადად ჩემი მეგობრების წყალობით დაენახვნენ მზეს. მეგობრების „დაძალებით“ მივიღე მონაწილეობა ორიოდე კონკუსშიც. ბოლო წუთამდე ვყოყმანობდი, თუმცა შეუმჩნეველი არც ერთიდან არ წამოვსულვარ.

– რა უფრო მნიშვნელოვანია, ფორმა თუ სათქმელი?

– როცა ვწერ, უნებურად ხდება ყველაფერი. მარჯვენა ინსტინქტურად რკალავს ასოებს ქაღალდზე. გაუცნობიერებლად ვწერ და ამიტომაც ყოველთვის მიჭირს ტექსტის კორექტირება. ალბათ ვერც ერთი დედა ვერ აათლის თავის მსუქან შვილს ზედმეტ ხორცს იმის გამო, რომ გამხდარი უფრო ლამაზი იქნება.

ასევე მიჭირს თუნდაც ერთი სიტყვის შეცვლა ტექსტში. ამიტომაც არიან ჩემი ლექსები თუ ვერლიბრები ძირითადად მარტო ჩემები, არა საჯარო, სათვალთვალო. კრიტიკისთვის არ მემეტებიან. არადა, ვიცი, ყველა მათგანი იმსახურებს კრიტიკას და საჭიროებს დახვეწას თუ პოეზიის ფრთებქვეშ მოვინდომებ მათს შეფარებას.

როცა ვწერ, ჩემი შინაგანი მდგომარეობა გადმოდის ქაღალდზე. სულს ვიცარიელებ და ვაშიშვლებ. ამიტომაც, იმ წამს „მოვარდნილს“ არ მინდა რამე „ავათალო“, მიმაჩნია, რომ სწორედ ამის შემდეგ დაკარგავენ სინამდვილეს.

არ მაქვს ამბიცია მერქვას პოეტი. ჩემი „შემოქმედება“ ჩემი მხსნელია – გრძნობებისგან თუ ტკივილებისგან დაცლის საშუალებაა. იდილიასთან მიახლოვების გზა, სიმშვიდისკენ მიმავალი ბილიკი და ამიტომაც სათქმელი ყოველთვის მთავარია ჩემთვის.

ანა კალანდაძეს აქვს ნათქვამი: „ყველაზე მშვიდად მაშინ ვიყავი, როცა ჩემი ლექსები მხოლოდ ჩემთან იყვნენ და მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდაო“. არც მე მემეტება ისინი საჯაროობისთვის. ეს არც შიშია, აღარც კომპლექსი. ან ეგოიზმია, ან სიშვიდისთვის აგებული ზღუდე.

– შენს ლექსებში ვერლიბრები სჭარბობს, რა განაპირობებს ამ ფაქტს და, შენი აზრით, რამდენად მზადაა დღეს აუდიტორია ინტელექტუალური ტექსტების მისაღებად?

– მიმდინარეობა ქრისტინეს არ აურჩევია. შუაღამეს გაეღვიძა, სოფლის სახლში ღია ფანჯრიდან დანახულმა უვარსკვლავებო მთვარემ დააწერინა პირველი ვერლიბრი. მერე ეს ვერლიბრი ძალიან კარგი ადამიანის ხელში მოხვდა. დამიჯდა და მითხრა, რომ მე უნდა მეწერა, უნდა მეწერა და მემუშავა საკუთარ თავზე.

ვწერ, მაგრამ არასდროს ვცდილობ დამუშავებას.

სამწუხაროდ, ბატონი თამაზი ცოცხალი აღარ არის. რომ არა ის, დღეს ათჯერ მეტად შებოჭილი ვიქნებოდი, ვიდრე ვარ. ძალიან გამათამამა, მაგრამ ვერც იმდენად დიდი ხნით იყო ჩემთან, რომ გავეზარდე.

რაც შეეხება საზოგადოების მზადყოფნას – არც ისე დიდი გამოცდილება მაქვს აუდიტორიასთან ურთიერთობის, თუმცა იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ მსგავსი ტექსტების აღქმა უჭირთ. არა მარტო აღქმა, არამედ მოსმენაც.

ერთიცაა, აუდიტორიის მასშტაბებს გააჩნია, მსმენელის გონებრივ არეალსაც. ფაქტი სახეზეა, საზოგადოებას გაფეტიშებული ჰყავს ერთი-ორი პოეტი, რომელთა შემოქმედებაში განა მარტო ინტელექტი, ღირებული რითმაც კი სანთლით საძებარია.

– რა შემოქმედებითი გეგმები გაქვს სამომავლოდ?

– მოკლებული ვარ ხელოვნების საშუალებით მიღებულ სიამოვნებას. თანამედროვეობამ, დღევანდელობამ სხვა რელსებზე გადააგორა ჩემი მატარებელი და მეც სხვა მიმართულებით მივქრი. არანაირი შემოქმედებითი გეგმა არ მაქვს, უბრალოდ ვწერდი და უბრალოდვე განვაგრძობ წერას.

– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად ათავსებ ამ ორ სოციალურ როლსა თუ გზას?

–ასაკთან ერთად ხშირად იცვლება წარმოდგენა ცხოვრებაზე, პროფესიაზე. მე კი რაც თავი მახსოვს, ჟურნალისტობა მინდოდა ყოველთვის და დღეს ვეუფლები კიდეც ჩემთვის საყვარელ საქმეს. როცა პირველ ლექციას მოვუსმინე (ბნ. გიგლა გობეჩიას), მაშინ ყველაზე მეტად დავრწმუნდი, რომ სხვაგვარად მოქცევას, სხვა საქმის კეთებას ვერ შევძლებდი. ეს ისაა, გულს რომ უნდა და შენია ბოლომდე, თორემ თითქმის ყველა საქმესა და სამუშაოს ადვილად ვუღებ ალღოს. ზოგადად, შრომისმოყვარეობა და მონდომება უნდა ყველაფერს, თუ გონებრივი მონაცემებიც გიწყობს ხელს, წარმატება გარანტირებული გაქვს.

როგორ ვუთავსებ ერთმანეთს? რა გითხრათ. ადრე ეკრანისკენ მივიწევდი მეტად, ახლა – ბეჭდური მედიით ვარ დაინტერესებული და ბოლომდე გავყვები ალბათ. წერა მეტ-ნაკლებად კარგად გამომდის, თუმცა ერთი „წუნი“ აქვს ჩემს სტატიებს – მხატვრული გემო დაჰკრავს ყოველთვის.

– რატომ გადაწყვიტე „წლის მგოსანში“ მონაწილეობა და რა მოგიტანა ამ კონკურსმა?

– წლის მგოსანი თავიდან პოეზიის საღამოდ გვქონდა ჩაფიქრებული, მერე კონკურსად იქცა. მარტივად დავთანხმდი, თუმცა აქაც ბოლო წუთამდე ვყოყმანობდი – წამეკითხა თუ არა. პირველი ტურის შედეგებით კმაყოფილი დავრჩი. თითქოს წელში გავიმართე და მეტად გავთამამდი. ფინალს ჩემი ცხოვრების ცოტა არ იყოს მძიმე პერიოდი დაემთხვა და ლექსებიც ამ პერიოდში იყო დაწერილი. იმდენად ზუსტად ასახავდა რეალობას, კადრები მიტრიალებდნენ გონებაში და მეშინოდა, ცრემლები არ წამომსვლოდა...

გამარჯვებას კი არ ველოდი. არც მე და არც აუდიტორია. მათი რეაქციის გამო სიხარულის შეგრძნება არ მქონია, თუმცა გააზრების შემდეგ მოვიდა ემოცია, რომელმაც რაღაც დიდი დატოვა ჩემში.

წერას ტიტულები არ სჭირდება. არც ჩემთვის არის მნიშვნელოვანი, სიის თავში მოვექცევი, თუ ბოლოში, მაგრამ ამ კონკურსმა ღიმილი მომიტანა, ჩემი ნააზრევით სავსე ფურცლები ორჯერ მეტად შემაყვარა და წამახალისა.

– კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი –რას ნიშნავს ეს სივრცე შენთვის?

– ადგილი, სადაც სწავლობ, არის გარემო, სადაც გეგმავ საკუთარ მომავალს ანუ უნივერსიტეტს ანდობ შენს წარმატებას.

დროსთან დაკავშირებული პრობლემის გამო (უდროობა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი პრობლემაა, რის გამოც ჩვეულებრივი სტუდენტის ცხოვრებით ვერ ვცხოვრობ და არც უნივერსიტეტში ვარ ისე, როგორც უნდა ვიყო) საგამოცდო განაცხადი მე არ შემივსია. უნივერსიტეტების ჩამონათვალსაც კი არ გავცნობივარ. ბოლომდე მივანდე ჩემი „ბედი“ მეგობარს. რეგისტრაციისას შიშით ვუყურებდი შენობას, უნივერსიტეტზე წარმოდგენაც არ მქონდა, თუმცა, ჩემდა საბედნიეროდ, აქ მოსული, მეტ-ნაკლებად დავმშვიდდი და სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ ნეიტრალური დამოკიდებულება პოზიტივისკენ შეიცვალა.

ხშირად ვერ ვარ უნივერსიტეტში, სამწუხაროდ. ამის გამო პრობლემებსაც ვერ ავცდი, ვერც საკუთარი თავის რეალიზებას ვახდენ იმ დოზით, რისი პოტენციალიც მაქვს. თუმცა ის დროც კი, რასაც აქ ვატარებ, საკმარისია იმისთვის, რომ რაღაც ღირებული გავაკეთო – ან კონკურში მივიღო მონაწილეობა, ან რომელიმე მინისტრთან შეხვედრას დავესწრო.

წარმატებებს ვუსურვებ ჩემს უნივერსიტეტს!!!

ესაუბრა
ციცინო გუკია

ქრისტინე პახომოვი

***

მხოლოდ წყლის ჭავლი ხელებს ვერ ასუფთავებს,
თორემ ცრემლებით ამოგრეცხავდი გულიდან.
ონკანიდან ეშვება წყალი და მეც ვხსნი თვალების ონკანს.
რომ შემეძლოს, პირსაბანში ჩაგრეცხავდი
და დაუნანებლად მოგისვრიდი დავიწყების კანალიზაციაში,
მაგრამ, სამწუხაროდ, გულიდან ვერა, ფურთხება მხოლოდ პირიდან შეიძლება.
არა და, არა და მიზეზი არ არსებობს მყავდე გულში
(ისევე, როგორც რითმების მიზეზი არ არსებობს ხანდახან, ჩვენ კი მაინც ვწერთ)
მიზეზი არ არსებობს აეკრა ჩემს დღეებს წურბელასავით
- ოღონდ შენ ჩემი ღიმილით იკვებები, ზედმეტი სისხლით კი არა.
თვალების ონკანი ბოლომდე ღიაა.
შვება კი არა.
ისეთი შვება, ხელების დაბანისას რომ განვიცდი.
მაგრამ სიხშირე ხარისხს ცვეთს
და ამიტომაც თვალების ონკანს
შეშვერილი გული ვეღარ გრილდება.
მიზეზი არაა აეკრა ჩემს დღეებს.
მიზეზი არა მაქვს შენი გულით ტარების.
ამიტომ ორი- ურთიერთგამომრიცხავი გრძნობით გგრძნობ
და რომ შემეძლოს(!)
რომ შემეძლოს გულით ფურთხება დაუნანებლად მოგისვრიდი
დავიწყების კანალიზაციაში!!!

***

არ ვგვი ტკივილებს.
ახლა ჩემში არეულობა არ იწვევს წუხილს.
გულის საწოლზე როდინდელი სამოსი ყრია...
საათის წიკწიკს უფრო მეტი ნაგავი მოაქვს,
მტვერი ედება მოგონებებს და მეც "მკიდია"
უკიდურესი ასოების რთული თანწყობა.
ვისწავლე შენგან, რომ დღეები თავისით დაგვის.
არეულ ოთახს თუ სანაგვედ აქცევს თანხვედრა - მერე რა...
შენც სიმარტივედ დამძალდი და მეც სულ მარტივად (რთული პროლოგით)
სამზარეულოს დაკეტილი ონკანიდან ვუშვებ სიჩუმეს.
ინტერიერს კი თვალს ვადევნებ, დღითი დღე როგორ ამარტივებს
გულის იატაკზე შენი ნაბიჯების კვალს მტვრის ატომები.
დრო გადის.
ნაგავს სული მიაქვს,
კარის შეღებაც ჭირს და ვხვდები
სანამ ჩემს „ოთახს" სუნი აუვა
ისევ გავრთულდე,
ვიქცე იმად ვინც ვიყავი დაძალებამდე.

ვუშვებ ონკანს.
ღმერთია წყალი.
თუმცა ხელების დაბანა კი უხერხულია.
უცაბედი სისუფთავე უღირსი, არაღირსი...
ვინ იცის სანამ გაგრძელდება შაბათობა ჩემში.
წყალი მხოლოდ მტვერს აშორებს...
ლაქები სამუდამოდ რჩება.

დე-ი

მე დავბრუნდები.
მაშინ ქუჩებს ეცმევათ თეთრი შესამოსელი
შენ მონატრებულს გულში ჩამიკრავ.
მე დავბრუნდები...
ცრემლით გაგათბობ და გეტყვი - მაპატიე.
მაპატიე ნაბიჯები, რომ უნებურად გულზე დაგადგი.
ავხედავ მაღლა.
ფიფქებს შევუშვერ სისხლნანახ მზერას.
შენ მეტყვი ქარით
"- სულ გამირბოდი...
ხვალაც წახვალ.
მაგრამ მე ვიცი, ადრე თუ გვიან,
სიხარულით თუ ტანჯვით დაღლილი,
შენ დაბრუნდები, რომ მოგისმინო.
გულში ჩაგიკრა.
ჩამეხუტო და იტირო.
არა იმისთვის რომ დაიცალე,
არა იმისთვის რომ ძალა არ გაქვს,
არამედ იმისთვის, რომ გყავარ
მუდამ ლოდინით სავსე თვალებით,
მუდამ მზად გულში ჩაგიკრა.
მოგეფერო, როგორც კნუტს...
როგორც ჩემს,
ყველაზე ჩემს.
ჩემით დაწყებულს...
იტირო იმისათვის რომ ხარ "უძღები".
რომ გყავარ და გამირბიხარ.
მე კი გელოდები.
დაუღლელი და უშორესი მზერით ჩემს
ყველაზე ჩემს..
ყველაზე ცბიერი გზის მგზავრს.
ცხოვრებით დაქანცულს...

კსუ-ს კულტურის განყოფილება საინტერესო წელს გვპირდება



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს თავიანთი შესაძლებლობების გამოსავლენად საუკეთესო პირობები აქვთ. საამისოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის ეკატერინე კვირკელიას განცხადებით, ახალი სასწავლო წლისათვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კულტურის განყოფილებისგან საინტერესო სიახლეებს უნდა ველოდეთ.

კსუ-ში ფუნქციონირებს სამხატვრო და ქართული ხალხური საკრავების სტუდია, ახალგაზრდული ბენდი, თანამედროვე ცეკვის ანსამბლი, თეატრალური დასი.

ეს არის სივრცე, სადაც სტუდენტების ყოველ ინიციატივას მაქსიმალური ყურადღებით ეკიდებიან – ადმინისტრაციის თანხმობით, მოქმედ სტუდიებს მალე კიდევ ორი: ქორეოგრაფიული და გიტარის წრე დაემატება.

სტუდენტებმა სამოდელო სტუდიის ჩამოყალიბების სურვილიც გამოთქვეს და უნივერსიტეტის კულტურის განყოფილება ამ ინიციატივასაც განიხილავს. როგორც ქალბატონმა ეკატერინემ განაცხადა, ქორეოგრაფიულ სტუდიას სათავეში თვითონ ჩაუდგება და გოგონათა ანსამბლს შეადგენს, თუმცა კოლექტივში, სავარაუდოდ, 2-3 ვაჟიც იქნება.



„ახალი სასწავლო წლიდან ახალი კონტინგენტი გვეყოლება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქასტინგები“ ყველა მიმართულებით ჩატარდება, რათა სტუდიები ახალი ნაკადით შეივსოს და ვიმედოვნებ, ახალმოსულთაგან ჩვენს იმედს ბევრი ნიჭიერი სტუდენტი გაამართლებს.

წლევანდელი სასწავლო წელი კავკასიის საერთაშორისო უნიერსიტეტისთვის წარმატებული აღმოჩნდა. „სტუდენტურ დღეებზე“ კსუ-ს სტუდენტებმა თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს. სიმღერაში ჩვენმა წარმომადგენელმა გაიმარჯვა, მოცეკვავეებმა და თეატრალურმა დასმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. ვამაყობ იმით, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყველაზე ორგანიზებულ უმაღლეს სასწავლებლად დასახელდა.

ჩვენმა დასმა სტუდენტურ დღეებზე გასატანად პანტომიმა შეარჩია, ასევე ნომერი მხატვრულ კითხვაში, შესანიშნავი მუსიკალური გაფორმება გვქონდა, ბავშვებმა ყველაფერს კვირა-ნახევარში გაართვეს თავი“, – განაცხადა ეკატერინე კვირკელიამ.

ეკატერინე კვირკელია (სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი):



– რაც შეეხება თეატრალურ დასს, მისი ჩამოყალიბება დეკემბერში დავიწყეთ. ძალიან ბევრი მსურველი იყო, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დაახლოებით 95 განაცხადი გვქონდა. აქედან „ქასთინგზე“ ოდნავ ნაკლები მოვიდა, საბოლოოდ, 5 შევარჩიეთ. ჩვენი დასის წევრები არიან: ხვიჩა კონცელიძე (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ელენე ბასილაშვილი (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ნინო ღამბაშიძე (სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), მარიამ ნადირაძე (სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ლუბა სლაბადენიუკი (ბიზნესის ფაკულტეტი, მე-4 კურსი).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რეპეტიციების გარდა დასის წევრებს ლექციებიც უტარდებოდათ თეატრისა და კინოს ისტორიაში, ზოგადად ხელოვნებაში.

ამასწინათ სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის პრეზიდენტი რევაზ ჩხაიძე გვეწვია და სტუდენტურ თეატრალურ ფესტივალში, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება, მონაწილეობის მიღება შემოგვთავაზა. უნივერსიტეტმა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციასთან ხელშეკრულება დადო, ავიღეთ ვალდებულება და, ფესტივალის წესების თანახმად, 50 წუთიანი სპექტაკლი უნდა გავაკეთოთ. პროექტშია „ანტიგონე„-ს დადგმა ჟან ანუის მიხედვით. დასში ბიჭების ნაკლებობაა და ახალი სასწავლო წლისათვის ამ დანაკლისის შესავსებად ქასთინგის გამოცხადებას ვაპირებთ.

„თეატრი ათონელზე“ 9 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის თეატრალური დასის პრემიერას მასპინძლობდა. სპექტაკლი „...უცნაური სიჩუმეა ირგვლივ...“ ლიტერატურული პიესა გახლდათ, რომელიც ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების კოლაჟს წარმოადგენდა. ვაპირებთ რამდენიმეჯერ კიდევ ვითამაშოთ ეს პიესა „ათონელზე“ და, უფრო მეტიც, გვაქვს შემოთავაზება ჩვენი სპექტაკლი მათს რეპერტუარში ჩაისვას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დასი გასტროლებსაც გეგმავს. ანუ წინ საინტერესო სასწავლო წელი გველოდება.

– რაც შეეხება თეატრალურ დასს, მისი ჩამოყალიბება დეკემბერში დავიწყეთ. ძალიან ბევრი მსურველი იყო, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დაახლოებით 95 განაცხადი გვქონდა. აქედან „ქასთინგზე“ ოდნავ ნაკლები მოვიდა, საბოლოოდ, 5 შევარჩიეთ. ჩვენი დასის წევრები არიან: ხვიჩა კონცელიძე (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ელენე ბასილაშვილი (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ნინო ღამბაშიძე (სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), მარიამ ნადირაძე (სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მე-2 კურსი), ლუბა სლაბადენიუკი (ბიზნესის ფაკულტეტი, მე-4 კურსი).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ რეპეტიციების გარდა დასის წევრებს ლექციებიც უტარდებოდათ თეატრისა და კინოს ისტორიაში, ზოგადად ხელოვნებაში.

ამასწინათ სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის პრეზიდენტი რევაზ ჩხაიძე გვეწვია და სტუდენტურ თეატრალურ ფესტივალში, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება, მონაწილეობის მიღება შემოგვთავაზა. უნივერსიტეტმა მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციასთან ხელშეკრულება დადო, ავიღეთ ვალდებულება და, ფესტივალის წესების თანახმად, 50 წუთიანი სპექტაკლი უნდა გავაკეთოთ. პროექტშია „ანტიგონე„-ს დადგმა ჟან ანუის მიხედვით. დასში ბიჭების ნაკლებობაა და ახალი სასწავლო წლისათვის ამ დანაკლისის შესავსებად ქასთინგის გამოცხადებას ვაპირებთ.

„თეატრი ათონელზე“ 9 ივნისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის თეატრალური დასის პრემიერას მასპინძლობდა. სპექტაკლი „...უცნაური სიჩუმეა ირგვლივ...“ ლიტერატურული პიესა გახლდათ, რომელიც ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების კოლაჟს წარმოადგენდა. ვაპირებთ რამდენიმეჯერ კიდევ ვითამაშოთ ეს პიესა „ათონელზე“ და, უფრო მეტიც, გვაქვს შემოთავაზება ჩვენი სპექტაკლი მათს რეპერტუარში ჩაისვას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დასი გასტროლებსაც გეგმავს. ანუ წინ საინტერესო სასწავლო წელი გველოდება.

სპორტი

კსუ მარათონის ჩრიდილოეთია

„სტუდენტური დღეები 2013-ის“ ფარგლებში ვერეს ხეობის ახალ მაგისტრალზე მარათონი მოეწყო. გარბენში 150-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფინიშთან მესამე, გოგონებს შორის , ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი, ხატია ცარციძე მივიდა.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი და „სტუდენტური დღეების“ პრიზიორი სპორტით არ არის დაკავებული, თუმცა მსგავს ღონისძიებებში, სხვადასხვა სახეობაში, მოყვარულის კვალობაზე სიამოვნებით მონაწილეობს.

გთავაზობთ ინტერვიუს ხატია ცარციძესთან.

– რამდენად რთული იყო აღნიშნული მანძილის წარმატებით დაძლევა?

– არ ვვარჯიშობ, თანაც ამ დღეს მაღალი ტემპერატურა მქონდა. ძალიან გამიჭირდა სირბილი, ჩემეული ტაქტიკა მაქვს, რომლითაც ვიასპარეზე. მინდოდა უნივერსიტეტის სახელი წარმომეჩინა.

მოხარული ვარ, რომ ბრინჯაოს მოპოვება შევძელი და ამით ჩემს უნივერსიტეტს წარმატება მოვუტანე. გულშემატკივრებსა და კსუ-ს ბოდიშს ვუხდი პირველ ადგილზე, რომ ვერ გავედი. სხვადასხვა სპორტულ სახეობებში შემიძლია ასპარეზობა და ვეცდები უნივერსიტეტის სახელით ბევრჯერ ვიასპარეზო სტუდენტურ სპორტულ შეჯიბრებებზე.

– როგორც ვიცი, ფეხბურთის მწვრთნელის ლიცენზია გაქვს და ალბათ განსაკუთრებით გიყვარს სპორტის ეს სახეობა?

– დიახ, ფეხბურთის მწვრთნელის C ლიცენზია მაქვს. სწორედ სპორტისა და ჟურნალისტიკის სიყვარულით გადავწყვიტე სპორტულ ჟურნალისტიკაში მუშაობა. ძალიან მინდა კსუ-ს გოგონათა საფეხბურთო გუნდი ჰყავდეს. ფეხბურთს მოყვარულის დონეზე ვთამაშობ.

– სპორტის კიდევ რომელ სახეობებში გიასპარეზია და რამდენად წარმატებულად?

– მოყვარულთა შეჯიბრებებში ვმონაწილეობ. მედიატურნირში „ბაჩოს თასი“ ფრენბურთში პირველი ადგილი ავიღეთ. ასევე მოყვარულთა შორის მკლავჭიდში გამარჯვებული ვარ. რაც შეეხება სხვა სახეობებს, შემიძლია ცხენით ჯირითი, მეკლდეურობაც მიცდია, მიყვარს ბოულინგის თამაში.

– რამდენად მნიშვნელოვანია სპორტული აქტივობა სტუდენტებისთვის?

– სპორტი – არის ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჯანმრთელობა და ენერგიულობა. ვცდილობ ამ სტილით ვიცხოვრო. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს ვურჩევ ჩაებან სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სწავლასთან შეთავსებით, დაკავდნენ სპორტით.



მთავარი რედაქტორი:
ციცინო ბუკია

სარედაქციო კოლეგია:
ნინო ჭალაგანიძე
ანუკი წივწივაძე

ჟურნალისტი:
ლია ზამბახიძე

ფოტოკორესპონდენტი:
ლიკა ამირაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
შპს ,,პრეპრინტი“

ჩვენი მისამართია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გლდანი-ნაძალადევის რაიონი, საზღვონა, ჩარგლის ქუჩა # 73,
ტელ: (995 32) 210 52 03, (995 32) 261 12 98, (995 32) 294 59 92, (995 58) 10 21 33
ვებ-გვერდი: www.ciu.edu.ge
მოგვძებნეთ სოციალურ ქსელებში: http://www.facebook.com/CIUniversity